



# ახალი ბანათლეტა

№5 (559) ბაშოლის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

## მამასთან შეხვედრის ნატვრაში გალეული გავშვობა



საბჭოთა იმპერია ნაბიჯ-ნაბიჯ სობოდა საქართველოს თვითმყოფადობას: გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია; ქართული წირვა-ლოცვა რუსულით შეიცვალა; გაიძარცვა საეკლესიო სინამდვილე, განადგურდა ძეგლები; რუსული ენა დამკვიდრდა მმართველობის ორგანოებში, სასამართლოებში, სასწავლებლებში; განგებ აღვივებდნენ ეთნიკურ შუღლს საქართველოში მცხოვრებ ხალხთა შორის; რუსეთში გადასახლეს ბევრი გამოჩენილი მამულიშვილი, ვინც ხმა აიმაღლა იმპერიის პოლიტიკის წინააღმდეგ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული პიროვნება იყო გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელსაც განსაკუთრებული როლი მიუძღვის დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი ცხოვრება, მოღვაწეობა და ის

მძიმე ხედეტი, რომელიც საპატიმროებსა და გადასახლებაში ეწეოდა, საბჭოთა პერიოდში ბნელით იყო მოცული. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მისი პიროვნება შეუმჩნეველი იყო ან შეგნებულად გვერდავლილი. ტაბუდადებულმა საოჯახო არქივმა, რომელიც მრავალი წელი საიდუმლოდ, ერთ პატარა თვითნაკეთ ჩემოდანში ინახებოდა, მრავალი წლის შემდეგ ბევრ კითხვას გასცა პასუხი. გრიგოლ ლორთქიფანიძის ღვაწლის, მოღვაწეობისა და ცხოვრების შესახებ მისი შვილი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბატონი თეიმურაზ ლორთქიფანიძე გვიამბობს.

გვერდი 6-7

ბამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ვებგვერდზე (www.naec.ge) აბიტურიენტთა სწოებარი ბამოაქვეყნა

**ცნობარი ბაზით „ახალ ბანათლეტაში“ დანიბაჭდა და მისი შექმნა „საქართველოს ფოსტის“ და „საქარმის“ ჯინსურებშია შესაქლებელი**

ცნობარში მოცემულია ინფორმაცია უბაღლესი სასწავლებლების საბანანათ-ლებლო პროგრამების, მათ მიერ არჩეული ბამოცდების, ბამოცდებისათვის მინიჭებული კოეფიციენტების, უბაღლესი სასწავ-ლებლების მიერ დანესაბული სპეციალური მოთხოვნების, სწავლების საფასურის შე-სახებ, ასევე სხვა მინიშნებლები ინფორ-მაცია, რომელიც დანესაბება აბიტური-ენტს ბანაცხადის სწორად შევსებაში.

ცნობარში დეტალურადაა ბანმარტაბუ-ლი პროცედურული საკითხებიც.

ბამოცდებისათვის რეგისტრაციის დანყე-ბის თარიღს ბამოცდების ეროვნული ცენტ-რი უახლოეს დღეებში ბამოაქვეყნებს.

ცნობარი დანიბაჭდა ბაზითში „ახალი ბანათლეტა“. ჯინსურების ჩამონათვალი, სადაც შესაქლებელია ბაზითის შექმნა, ბანთავსებულია ბამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე - WWW.NAEC.GE.

**ბამოცდების ეროვნულმა ცენტრმა დე-კიმბარში ბამოსცა დანესაბება კრებულები, რომელთა შექმნა შესაქლებელია რე-გორც თბილისის, ასევე რეგიონების მა-ლაზიებში.**

მასწავლებლის ბიბლიოთეკის ებიღით ბამოცემული ნიბნების შექმნა საქართვე-ლოს ფოსტის მავშეოებით სორციელდება.

სასერტიფიკაციო ბამოცდები

### ბანვითარებისა და სწავლის თეორიები

ბოქლა ინფორმაცია იბ ავტორების შესახებ, რომელთა ნააზრების ცოდნაც მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით არის ბანსაზღვრული

გვერდი 2

მეთოდია

### ფიზიკის კედაბობთა დასახმარებლად

ჩატარებულმა სასერტიფიკაციო ბამოცდებმა აჩვენა, რომ ფიზიკის მასწავლებლებს განსაკუთრებით გაუჭირდათ ამოცანების ამოხსნა. მათ მიერ მიღებული დაბალი შეფასებები ძირითადად ამ მიზეზით იყო განპირობებული.

წინამდებარე რუბრიკაში შევეცდებით დავებმართ მათ და მივაწოდოთ ტიპური საგამოცდო ამოცანების ამოხსნა მეთოდური მითითებებით. ამოცანები დალაგებულია სერტიფიციების პროგრამის შესაბამისი თემატური გეგმის მიხედვით.

გვერდი 5

სასაბრუნოკაზიო გამოცემა

ბანკითარებისა და სწავლის თეორიები

მოკლე ინფორმაცია იმ ავტორების შესახებ, რომელთა ნააზრების სკოლას მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით არის განსაზღვრული



ზვიად გვახარია 1915

ზვიად გვახარია ბრუნერი - ამერიკელი ფსიქოლოგი, კოგნიტიური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. 1952-72 წლებში იყო ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, 1972-1980 წლებში კი - ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი. მისი განვითარებისა და სწავლის თეორია კონსტრუქტივიზმის პრინციპებს ეფუძნება. ბრუნერის მიხედვით, სწავლა აქტიური სოციალური პროცესია, როდესაც ბავშვი, თავისი გამოცდილების საფუძველზე, ახალი ცოდნის კონსტრუქციას ახდენს. და არა პროდუქტი. მის თეორიაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ლ. ვიგოტსკის იდეებმა.


ბრუნერის აღმოჩენებით სწავლის თეორია კოგნიტურ თეორიებს მიეკუთვნება. კოგნიტური თეორიების მიზანი შემეცნებითი პროცესების (გადანერგვების მიღება, პრობლემის გადაჭრა, ანალიზი, სინთეზი, შეფასება, დამახსოვრება) სტრუქტურისა და ფსიქოლოგიური მექანიზმების აღწერაა. ზოგიერთი კოგნიტური თეორია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლებისათვის, რადგან ნათელ და თვალსაჩინო პედაგოგიურ მეთოდებსა და მოდელებს გთავაზობს.

კოგნიტიური ფსიქოლოგია იკვლევს, როგორ იღებს მოსწავლე ინფორმაციას გარემოდან, როგორ ახდენს ამ ინფორმაციის ორგანიზებასა და ინტერპრეტაციას, როგორ იყენებს ცოდნას.

ბრუნერის მიხედვით, სწავლა გულისხმობს ბავშვის მიერ ინფორმაციის შერჩევას, ჰიპოთეზების შექმნას და ამ გზით ახალი მასალის ინტეგრირებას მის ცოდნასთან. სწავლა უწყვეტი პროცესია და ბავშვი განვითარების სამ საფეხურს გაივლის: პრაქტიკული - ამ საფეხურზე ბავშვი კონკრეტულ გამოცდილებას იღებს გარემოს შესახებ (ობიექტების მანაპულაცია), პრაქტიკული ქმედებები; სატორი - ამ საფეხურზე ბავშვს შეუძლია ობიექტის თვალსაჩინო ხაზით მანიპულირება და არა მხოლოდ ობიექტით; სიმბოლური - ბავშვს უკვე შეუძლია ლოგიკისა და სიმბოლური სისტემების გამოყენება. ჩვენებისა და ცოდნის ათვისება უკეთ ხდება, თუ ბავშვი გარემოსთან აქტიური ურთიერთქმედების, ექსპერიმენტების პროცესში აღმოაჩენს რაიმე მიმართებას, ფენომენს თუ ცნებას.

გარემოს შეცნობისას ჩვენ გამოვიყენებთ საერთო ელემენტებს (აბსტრაქტიზება) როგორც მოვლენებიდან, ასევე ჩვენი გამოცდილებებიდან. ამ აბსტრაქტიზების საფუძველზე შევიქმნავთ ნებსებს, რომლებიც გარე სამყაროს კლასიფიცირების საშუალებას გვაძლევს. ამ პროცესში ჩვენ აღმოვაჩენთ და თავადაც ვქმნით ცნებათა შორის უამრავ ურთიერთკავშირს. ბრუნერს, „ცნების“ ნაცვლად, შემოაქვს ტერმინი - კატეგორია, რომელსაც იყენებს მოვლენების ან ობიექტების მონათესავე ჯგუფების აღწერის დროს. ამ მოსაზრებით, კატეგორია შეიძლება გავიგოთ, როგორც ცნება (კონცეპტი) და როგორც აღქმის ობიექტი (პერცეპტი). ბრუნერი კატეგორიას უწოდებს აგრეთვე ობიექტების ერთი კლასისთვის მიკუთვნების ნებსს.

ბრუნერის აზრით, ცნებათა შორის დამოკიდებულებებს კოდირების სისტემა განსაზღვრავს. კოდირების სისტემის მეშვეობით ხდება არსებული განზოგადებული ცნებების იერარქიული მონერსივება. ამით ჩვენი ხანგრძლივი მეხსიერება (ჩვენი შედარებით მუდმივი ცოდნის, უნარების, შთაბეჭდილებების და ა. შ. ყულაბა) შევსებულია განვიხილოთ, როგორც კატეგორიების სტრუქტურირება კოდირების სისტემის საფუძველზე. ყველა სასკოლო საგანს, მასში შემავალი თითოეული თემით, მსგავსი სტრუქტურა აქვს. საგნის სტრუქტურა, ბრუნერის აზრით, იმ სფეროს ფუნდამენტურ ურთიერთკავშირებსა და იდეებს ასახავს, რომელსაც ეს საგანი მიეკუთვნება. სწორედ ამიტომ იმისათვის, რომ მოსწავლემ საგანი ნამდვილად კარგად შეისწავლოს და გაიაზროს, მან აუცილებლად უნდა შექმნას საკუთარი კოდირების სისტემა - საკუთარი გონებრივი წარმოდგენები ამ მნიშვნელოვან იდეებსა და დამოკიდებულებებზე. კოდირების სისტემის გრაფიკული ილუსტრაცია ასეთია:



უმჯობესია, კოდირების სისტემა თავად შექმნას მოსწავლემ, ვიდრე ის დასრულებული სახით მიიღოს მასწავლებლისგან. ბრუნერი მიიჩნევს, რომ მოსწავლე თავად ქმნის საკუთარ ვერსიას რეალობის შესახებ, არსის შესახებ, სკოლების დანიშნულება კი უნდა იყოს საამისოდ ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც გაუადვილებენ მოსწავლეს ამ დამოკიდებულებების აღმოჩენას. აღმოჩენებით სწავლა დასწავლის ისეთი სახეა, როდესაც მოსწავლეს მასალა დაუსრულებელი სახით მიენიჭება და მათ ამ მასალის ორგანიზება მოეთხოვებათ. ეს მოსწავლეს აძლევს, მონახონ ის ურთიერთკავშირები, რომლებიც ამ მასალის ელემენტებს შორისაა. ბრუნერის თეორიაში აღმოჩენა კატეგორიის ფორმირება ან უფრო ხშირად კოდირების სისტემის ფორმირება, რაც ობიექტებს ან მოვლენებს შორის მიმართების (მსგავსი და განსხვავებული) ტერმინებში გამოისახება.

აღმოჩენებით სწავლა მასწავლებლის მხრიდან ბევრად უფრო ნაკლებ მონაწილეობას და ხელმძღვანელობას მოითხოვს, ვიდრე სწავლების სხვა მეთოდები; თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასწავლებელი აღარ აძლევს მოსწავლეს მითითებებს მას შემდეგ, რაც საწყისი ამოცანა დაუსახა. მნიშვნელოვანია, რომ მითითებები იყოს ზომიერი, გარკვეული ინტერვალებით, რათა არ შეზღუდოს მოსწავლის დამოუკიდებლობა, ანდა მოსწავლე არ აღმოჩნდეს დაუძლეველი პრობლემის წინაშე.

აღმოჩენებით სწავლების მიდგომის უპირატესობა ისაა, რომ ის აიოლებს ინფორმაციის გადატანასა და დამახსოვრებას, ავითარებს პრობლემის გადაჭრის უნარს და ზრდის მოტივაციას. ძალიან ხშირად აღმოჩენები კლასში ისევე მიმდინარეობს, როგორც ეს მეცნიერული კვლევის დროს ხდება - მოსწავლეები განზოგადებული დასკვნების ძიებაში სისტემურად დგამენ ლოგიკურ ნაბიჯებს. მასწავლებლის, როგორც ამ პროცესის წარმმართველის, დასწავლის ხელშეწყობის როლი სწორედ იმაშია, რომ დაეხმაროს მოსწავლეს, შეიმუშაოს ჰიპოთეზები, იმსჯელოს, გააკეთონ დასკვნები. ბრუნერი მოკლედ აღწერს აღმოჩენებით სწავლების საფეხურებს:

- ამოცანის ან კითხვის ფორმულირება და ახსნა;
- მაგალითების შერჩევა, შესატყვისი დაკვირვებების წარმოება;
- ჰიპოთეზების (დაკვირვებებზე დაფუძნებული ინტელექტუალური მიგნებები) წამოჭრა;
- ჰიპოთეზების დამტკიცების ან უარყოფის მიზნით ექსპერიმენტების ან რაიმე სხვა დაკვირვების შემუშავება და ჩატარება;
- ახალი ინფორმაციის გამოყენება, გაფართოება, განზოგადება ან „მისი საზღვრებიდან გამოსვლა“.

ბრუნერი მიიჩნევს, რომ ეფექტიანი სწავლებისათვის ყველაზე ადეკვატურია ე. წ. „სპირალური კურიკულუმი“ - სასწავლო გეგმა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ყოველი ახალი ცნება წინათ დასწავლილსა და წინა გამოცდილებას ეფუძნებოდეს.

ბრუნერი გამოყოფს აღმოჩენებით სწავლების ხელშეწყობის ან ხელისშემშლელი ფაქტორების ოთხ ჯგუფს:

**განწყობა** - მოსწავლე განწყობილი უნდა იყოს განსაზღვრული ფორმით რეაგირებისთვის. განწყობის შესაქმნელად გამოიყენება გეზის მიცემა, რომელიც შეიძლება იყოს „ზედაპირული“, როცა ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ინფორმაციის ელემენტების დასწავლაზე და „ჩაღრმავებული“, როცა მოსწავლეს მოეთხოვებათ ამ ელემენტებს შორის დამოკიდებულებების ძიება. სწავლებისას მთავარია ფაქტებს, მოვლენებს შორის ურთიერთმიმართებების, სტრუქტურის ჩამოყალიბება და მისი გაგება.

**სწავლისადმი მზაობა** - მოსწავლე დაინტერესდება ახალი ინფორმაციით და არ დაფრთხება მისი სირთულით, თუ ახალი მასალა წინა გამოცდილებას და წინათ ათვისებულ მასალას ეყრდნობა.

**სწავლების მრავალფეროვნება** - ეს ფაქტორი მეტად მნიშვნელოვანია აღმოჩენებით დასწავლის გასაადვილებლად. მოსწავლე, რომელიც ინფორმაციას იღებს სრულიად განსხვავებულ პირობებში, უფრო სწრაფად აგებს კოდირების სისტემას და ახერხებს ინფორმაციის ორგანიზებას. სწორედ ამიტომ, ბრუნერი იძლევა რჩევას, რომ ერთი და იგივე საგანი სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ისწავლებოდეს, მაგრამ განსხვავებული სირთულისა და აბსტრაქტიზების ხარისხით, იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლება მოსწავლეს ინტერესები, უნარები და საბაზო ცოდნა.

„სპირალური კურიკულუმი“ უზრუნველყოფს სწავლებისადმი მზაობასა და მის მრავალფეროვნებას.

**კონკრეტული შინაარსების ფლობა** - ბრუნერის აზრით, აღმოჩენებს უფრო ხშირად ის ადამიანი აკეთებს, რომელიც საამისოდ კარგადაა მომზადებული. თუ მოსწავლემ არ იცის ინფორმაციის საგანთან დაკავშირებული კონკრეტული ასპექტები, ის ვერ დააკავშირებს ინფორმაციის ელემენტებს ერთმანეთთან და ვერც განაზოგადებს.

თვალსაზრისი

„დაუშლელი“ საათები „დაშლილი“ ანაზღაურებით

განათლების სისტემაში ბევრი საინტერესო და წარმატებული რეფორმა განხორციელდა ბოლო რამდენიმე წელიწადში. ჩვენ, პედაგოგები ნამდვილად არ ვართ უმაღლური ადამიანები. თუმცა მიმდინარე რეფორმებში ყოველად გაუმართლებელი და მიუღებელი თანამდევნი პროცესებიც ხდება, რომელსაც დამსახურებულად ვუწოდებდი მანაგელებელთა დისკრიმინაციას; ხელოვნურად შექმნილ უსაფუძვლო და არაფრისმოძიებელ გადანერგვებებს, გარდა უარყოფითისა, რაც პედაგოგების ზედმეტად და შემაწუხებლად დატვირთვაში გამოიხატება და რასაც არავითარი დადებითი შედეგი არ მოაქვს.

უფრო დაწვრილებით კი, ჩემი გულისტკივილი შემდეგში მდგომარეობს: თურმე „კანონი“ გვიკრძალავს სილაბუსის, თემატურის გეგმისა თუ გაკვეთილის გეგმის ხელნაწერის სახით ქონას, უთუოდ ნაბეჭდი უნდა იყოს! ერთგან, თავის გამოსვლაში, ბატონი ნიკო

მუსხელიშვილი ბრძანებდა: „როდესაც მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტი მკვებს თვალში, მაშინ მშობლიურ ენას ისე კარგად ვერ ვგრძნობ, როგორც ხელთნაწერში“. რა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა ბატონი ნიკო, რომ მისთვის ხელთნაწერით სარგებლობა აეკრძალათ.

სხვა, უფრო ცუდი, დაუნერგელი კანონი, რომელმაც ზეპირი განცხადების სახით მოაღწია ჩვენამდე და რომელიც მოქმედებაში მიმდინარე სასწავლო წელს, გახლავთ ის, რომ ყველა სერტიფიცირებულ მასწავლებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს 18-საათიანი დატვირთვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არ მიეცემა ის უმნიშვნელო დანაშაულები.

იბადება კითხვა: თუ ის სერტიფიცირებული მასწავლებელი არის ისეთი საგნის სპეციალისტი, რომლის საათობრივი დატვირთვა, მოცემულ სკოლაში, არ შეადგენს 18 საათს,

როგორ მოვიქცეთ? პასუხი გახლავთ შემდეგი, რომ სკოლის დირექციას უბიძგებენ არასწორი ქმედებისაკენ - იძულებულნი ხდებიან შეუვსონ განაკვეთამდე, რითაც და როგორც მეორე უკიდურესობის შემთხვევაში, როცა, მაგალითად, თუ სკოლაში ქართული არის 40 საათი, განაწილდება ორ სერტიფიცირებულ მასწავლებელზე - თითოზე 20 საათი, ასეთ შემთხვევაში მასწავლებელს უნაზღაურდება 18 საათი, ხოლო ორ საათს ატარებს უფასოდ. ელემენტარული მათემატიკით ადვილად შეგიძლიათ გამოიანგარიშოთ, ასეთი მასწავლებელი, თვეში, მინიმუმ, 120 ლარს „ჩუქნის“ სახელმწიფოს. „სიკეთეს სიკეთით“ უზღიან და თავისივე ნაშრომიდან 60 ლარს უბრუნებენ ე. წ. დანაშაულის სახით.

...აღარ გავაგრძელებ. მერწმუნეთ, ჩემი თვითმიზანი ნამდვილად არ არის განათლების დღეს მოქმედი კანონების კრიტიკა. მინდა, რეფორმები იყოს წარმა-

ტებული და არა მუდმივად საექსპერიმენტო, როცა ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს ორით უკუსვლა მოჰყვება, მხოლოდ მსურს, პედაგოგის შრომა იყოს სათანადოდ დაფასებული და პატივმიგებული. პედაგოგიური საზოგადოება მზადაა პროფესიული ზრდისთვის. თითოეულ მათგანს გაცნობიერებული აქვს ამის აუცილებლობა, მაგრამ არა ასეთი მიდგომით. მასწავლებელი ძალიან ფაქიზი ორგანიზება და მსგავსი ქმედებებით მასში არ უნდა ჩაეკლათ ეს იშვიათი თვისება. ეჭვგარეშეა, თუ მასწავლებელს არ ვამყოფებთ მუდმივი ზენოლის, მუქარის, იძულების და ა. შ. მდგომარეობაში, სასკოლო რეფორმა უფრო წარმატებული იქნება; მოიგებს მოსწავლე, მასწავლებელი და ზოგადად, საზოგადოებაც.

**დემურ კუხალიშვილი**  
ჩხორის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი



# სიასლა!

**კლასიკური პოეზია**

ელვის გამომცემლობამ დაიწყო ახალი სერიის, კლასიკური პოეზიის გამოცემა. სერიის ფარგლებში იბეჭდება მსოფლიო კლასიკოს პოეტთა რჩეული ლექსები. ამ ეტაპზე გამოვიდა სამი წიგნი. პირველ წიგნში მკითხველი გაეცნობა გალაკტიონ ტაბიძის, ალექსანდრე პუშკინისა და ტერენტი გრანელის რჩეულ ლექსებს, მეორეში - ტიციან ტაბიძის, სერგეი ესენინისა და მირზა გელოვანის ლექსებს, ხოლო მესამე წიგნი ლადო ასათიანს, ალექსანდრე ბლოკსა და პაოლო იაშვილს აერთიანებს.

ელვის გამომცემლობა შეეცადა ამით მკითხველისთვის ეჭვგეგნისა, ქართველ და მსოფლიო კლასიკოს პოეტთა სულიერი და კულტურული ურთიერთობა, რისი დამადასტურებელიცაა ამ წიგნებში შესული ლექსები.

**სამი ტომის ფასი 21 ლარი**

ილია ჭავჭავაძე, ორტომეული  
**ორტომეულის ფასი 16 ლარი**

საქართველოს ისტორიული ატლასი  
**ერთი ტომის ფასი 5,70 ლარი**

www.elf.ge  
ელვის გამომცემლობა

**კლასიკური პოეზია**

ელვის გამომცემლობამ დაიწყო ახალი სერიის, კლასიკური პოეზიის გამოცემა. სერიის ფარგლებში იბეჭდება მსოფლიო კლასიკოს პოეტთა რჩეული ლექსები. ამ ეტაპზე გამოვიდა სამი წიგნი. პირველ წიგნში მკითხველი გაეცნობა გალაკტიონ ტაბიძის, ალექსანდრე პუშკინისა და ტერენტი გრანელის რჩეულ ლექსებს, მეორეში - ტიციან ტაბიძის, სერგეი ესენინისა და მირზა გელოვანის ლექსებს, ხოლო მესამე წიგნი ლადო ასათიანს, ალექსანდრე ბლოკსა და პაოლო იაშვილს აერთიანებს.

ელვის გამომცემლობა შეეცადა ამით მკითხველისთვის ეჭვგეგნისა, ქართველ და მსოფლიო კლასიკოს პოეტთა სულიერი და კულტურული ურთიერთობა, რისი დამადასტურებელიცაა ამ წიგნებში შესული ლექსები.

**სამი ტომის ფასი 21 ლარი**

www.elf.ge  
ელვის გამომცემლობა

**თემატური პლასკატები დაწყებითი კლასებისთვის**  
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძველი ანბანი
2. წელიწადის დროები: ზამთარი-ზაფხარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პოეზიები
9. რიცხვები
10. სილ-პოეტური
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

**ერთი ტომის ფასი 2.5 ლარი**

**თემატური პლასკატები მაღალი კლასებისთვის**  
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიის წარმოდგენა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ძველი ხალხური საქრავები
6. ძველმეცნიერების საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მზის სისტემა
11. ნიადაგი - სიცოცხლის წყარო
12. საქართველოს საგეოგრაფიო დინამიკა
13. ძველი რელიეფი
14. მსოფლიოს დროები
15. ზღვის დინამიკა
16. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
17. საგეოგრაფო წარმოდგენა
18. ძველი მეთოდის შედარება და საბრძოლო ტექნიკა
19. მსოფლიოს შვიდი სოცერება

**ერთი ტომის ფასი 3 ლარი**

**ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)**

1. მიხეილ ჯავახიშვილი	10. იოსებ ბრეჯავიძე	19. აკაკი წერეთელი
2. ბიორგი ლეონიძე	11. პოლიკარპე კაკაბაძე	20. რუსთაველი
3. ირაკლი აბაშიძე	12. გურამ რჩეულიშვილი	21. ვაჟა-ფშაველა
4. ნოდარ დუმბაძე	13. იაკობ ხუციანი	22. თეიმურაზ I
5. მირზა ბელოუზანი	14. ივანე სებასტიანი	23. ვახტანგ VI
6. აკაკი ბაქრაძე	15. დავით გურამიშვილი	24. ბიორგი მერაბული
7. ვასილ ბარნოვი	16. ბესიკი	25. ბრიგოლ ორბელიანი
8. პაოლო იაშვილი	17. რევაზ ინანიშვილი	26. დავით აღმაშენებელი
9. სულხან-საბა ორბელიანი	18. ალექსანდრე ჭავჭავაძე	27. გურამ ასათიანი

**ერთი ტომის ფასი 4 ლარი**

**რეკრუდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის**

1. ცისფერი ბალერინები - დედა	7. დელფოსელი სიპილა - მიქელანჯელო
2. ჰორაციუსის ფიცი - შაკ-ლუი დავიდი	10. მხატვრის გალი - კლოდ მონე
3. მხატვრის თანამშრომელი - დომენიკო გირლანდაიო	11. უკლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
4. ადელ ბლოხ-გაუარის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი	12. საძინებელი - რენუარი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტი ჰარმენს ვან რაინი	13. საპირბრუნო ბასეირნება, გრან-შატის კუნძულზე - შორს სიორა
6. მინიკა - ველასკესი	

**ერთი ტომის ფასი 6.5 ლარი**

# სად არიან კითხვები? კითხვა უამრავია...

## რამდენიმე რჩევა აზიტირებებს

ნეტავ ჩავაბარებ ნელს მისაღებ გამოცდებს? საატესტატო გამოცდები ხომ არ გართულებდა? როგორ უნდა შეეძლო ამდენი გამოცდის ჩაბარება? რატომ შეცვალეს მისაღები გამოცდის პროგრამა? ქართულშიც შეიცვალა ბევრი რამ, პროგრამული ლიტერატურიდან კითხვების ნაცვლად უცხო ტექსტები იქნება, რომლის შესახებ უნდა ვიმსჯელოთ, ნეტავ უფრო გართულდა ამით ჩემი საქმე, თუ გამარტივდა? – მრავალ მოსწავლესა და აბიტურიენტს აწუხებს ნელს ეს და სხვა კითხვები. პასუხის მოძებნაში ისევ კითხვები დაგვეხმარება. განა ლოგიკური არ არის, რომ საატესტატო გამოცდების დროს მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ დაპროგრამირებული მასალის ცოდნა, ხოლო უმაღლესში მისაღები გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში მან ზოგადი განათლება და კრიტიკული აზროვნების უნარი მეტად უნდა გამოამჟღავნოს? განა საკამათოა, რომ გამოსაშვები გამოცდები ყველამ უნდა ჩააბაროს, მაგრამ უმაღლესში მხოლოდ იმ მოზარდმა უნდა სცადოს ბედი, რომელსაც შეუძლია უცხო ტექსტის სწორად გააზრება, ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობა, საკუთარი მოსაზრების გამოკვეთა ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით და მერე ამ მოსაზრების დასაბუთება? გამომდინარე იქიდან, რომ, ზოგადად, ნერა ბავშვებს არ უყვართ და, მით უმეტეს, ექსტრემალურ პირობებში ზოგს სულ არ გამოსდის თხზულებაზე მუშაობა, სკოლის მასწავლებელი დაწყებითი საფეხურიდანვე უნდა ცდილობდეს, გამოუმუშავოს მოსწავლეს უცხო ტექსტზე მუშაობის უნარი, ნაწარმოების ძირითადი სათქმელისა და დედაზრის გამოკვეთის უნარი. ამ ნეროლიტიკ შევცდებით, მივცენთ მოზარდებს რამდენიმე რჩევა, რომლებიც მათ გამოადგებათ ნებისმიერი უცხო ტექსტის დამუშავების დროს.

ისევ კითხვებს დავუბრუნდეთ. ძალიან ხშირად მკითხველს უჭირს მთლიანი ნაწარმოების ან ფრაგმენტის იდენტი, მთავარი სათქმელის გააზრება. კარგი მკითხველი კი საკუთარ თავს უსვამს კითხვებს: რა მომცა მე ამ ლექსმა (მოთხრობამ, ნაწარმოების ფრაგმენტმა...)? რა მომეწონა ყველაზე მეტად? რა დარჩა ბუნდოვანი? რას მეუბნება ავტორი ნაწარმოების დასაწყისში? შუა ნაწილში? ფინალში? რისთვის გაიმეორა მან ესა თუ ის ფრაზა ხშირად? იქნებ ამით რაღაცის თქმა სურდა? ამ ნაწარმოებიდან რას დავიმსახურებ, რას გამოვიყენებ ცხოვრებაში? რატომ მომცეს დავალება ეს ლექსი? რა არის მასში ისეთი, რაც გამოარჩევს სხვა ნაწარმოებებისაგან? ან პირიქით, რომელ ნაწარმოებს (ფილმს, სპექტაკლს, ნახატს...) მაგონებს ეს სიუჟეტი? ეს პერსონაჟი ხომ არააგის ნაავაგის? კითხვა, მართლაც, უამრავია. სწორედ კითხვების საშუალებით მიდის მკითხველი სწორ დასკვნამდე, აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას ნაკითხულთან დაკავშირებით, იაზრებს ნაწარმოების ავტორის მთავარ სათქმელს, გამოთქვამს საკუთარ კრიტიკულ შეხედულებებს... მაგალითისათვის განვიხილოთ გივი გუგუშკორის ლექსი „ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს?“

„ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს?  
ვინ მენავეა?  
იმისი ნავი სად დაცურავს ან სად აბია?  
იგი ჩვენს ნავში როდის იჯდა?  
და თუკი იჯდა,  
თუ გარჯილა და ნავში წყალი თუ უხაბია?  
სად იყო მაშინ, როცა ხეზე ავიდა ფითრი?  
რად მივანჩივართ ყველა ბრიყვებად.  
ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს?  
ის ხომ არ არის,  
მისი სიმძიმით ვინც უთუოდ მოიდრიკება?  
თუ მატანის ფოლიანტზე არ გაიჭყლიტა,  
რა ქნა ისეთი, რომ იმისთვის სხვა რამ მცირეა?  
ო, ეკლის გვირგვინს იქნებ იგი ეპოტინება,  
ვინც ხალხს ზვარაკად ვერასოდეს შეენიერება?  
ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს,  
ვინც სხვებს ზვიდან  
ისევ დაჰყურებს, როგორც თავუნებს?  
ვისაც ჰგონია, რომ საქართველო  
მისი რჩეული სიყვარულია ღირსია მხოლოდ  
და გულზე ხელებს ვინც იბრაგუნებს?  
მამულს თავისი სიყვარული რომ უწყალობა,  
ჩვენ მადლობლები უნდა ვიყოთ...  
არა ჰყოლია  
უფრო ერთგული შვილი მამულს და მას ეკუთვნის  
მხოლოდ სამშობლოს სიყვარულის მონოპოლია.  
ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს, ვისი მახვილიც  
უგზურება და უმეცრება არის რეგვენთა?  
ვისაც ჰგონია, რომ ანაგი არ დაუფასეს  
და ვისაც უნდა მის გარშემო შექმნას ლეგენდა?  
სად არის მისი აგებული სექტიცხოველი?  
თაყვანისცემით გაბერილმა პარანოიკმა  
გულუბრყვილონი როგორ უნდა დაიმორჩილოს,  
რომ განდიდების წყურვილი და ჟინი მოიკლას?  
ო, ნუთუ იგი იმ იმედით დაირება,  
რომ გაჩუმდება და არავინ არაფერს იტყვის?  
ვინც არის-მეთქი მხოლოდ სახელს დახარბებული,  
ის ხომ არ იდგამს წამებულის ეკლიან გვირგვინს?  
ვინ ცდილობს ხალხი შეცდომაში რომ შეიყვანოს?  
ვით შეიფერებს ეკლის გვირგვინს თავი სახედრის?  
ამ ქვეყანაზე თავის ფუსფუსს,  
თავის ლოლიალს,  
თავის უბადრუკ არსებობას რატომ გვაყვედრის?  
ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს, ვინც ქვეყანაზე  
დაბადებული არის მლიქვნელი?  
საითაც ქარი დაუბერავს, ვინც მხოლოდ იქით  
გადაყვლეფილი სინდისით გაღიზიანება?  
ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს,  
ვინც კაცს გულგრილად  
გულს უხეთქავს და მერე უხდის საკადრის ქელეხს?  
ო, ეკლის გვირგვინს ვისი ხელი ეპოტინება,  
რა უნდა მასთან ანგარებით დაკრუნჩხულ ხელებს?

ო, ვინც განცხრომას ვერასოდეს ვერ შეეღვება,  
ტახჯვა არ იცის და ერთობა სხვებზე ქირქილით,  
ის ხომ არ არის?  
დააკვირდით...  
ვის უნდა თავი,  
რომ დაიმშვენოს წამებულის ეკლის გვირგვინით?..“

(შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ხშირად მწერლები ან პოეტები კითხვითი წინადადებებით იწყებენ ნერას სწორედ იმიტომ, რომ გაუადვილონ მკითხველს აქცენტების პოვნა და სწორი მიმართულებით წარმართონ მათი ფიქრები).

ხშირია შემთხვევა, როცა უცხო ლექსის (ნოველის, მოთხრობის) გაცნობის მერე მოსწავლე სწრაფად აყალიბებს საკუთარ სათქმელს ორი სიტყვით: ვერაფერი გავიგე. არადა, საკუთარი მოსაზრება ტექსტში დასმულ პრობლემაზე, დარწმუნებული ვართ, რომ გააჩნია. მაშ, რაშია საქმე? ალბათ ისევ ჩვენს დაუძლეველ სენთან: უყურადღებობასა და სიზარმაცესთან გვაქვს საქმე. მუშაობა რომ გავგვიადვილოდეს, ტექსტის 2-3-ჯერ ყურადღებით წაკითხვა საჭიროა. მოზარდი ტექსტს აკვირდება და სწავლობს სამი მიმართულებით: რა მორალურ-ეთიკური პრობლემებია ტექსტში დასმული? რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებით აღწევს ავტორი შედეგს? როგორია მისი პიროვნული დამოკიდებულება მოცემული პრობლემების მიმართ? დაკვირვებული თვალს სწრაფად შეამჩნევს, რომ ლექსი, ძირითადად, კითხვითი წინადადებების მონაცვლეობითაა აგებული, ლექსის დასაწყისშივე გამოტანილ კითხვას პოეტი ხშირად სხვადასხვა რაკურსით იმეორებს, ხოლო მთელ ლექსს რეფრენად გასდევს მთავარი კითხვა: ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს? აბიტურიენტი არ უნდა გაუჭირდეს იმის გახსენება, პირველად ვის და რატომ დაადგეს თავზე ეკლის გვირგვინი (ისუკი პრისტეს გოლგოთისაქენ მიმავალ გზაზე ჯარისკაცებმა ეკლის გვირგვინი დაადგეს, თან დასცილოდნენ: ურიათა მეფე ხარო). კითხვები ახლანდელ დროში დასმული, შესაბამისად, პოეტი თანამედროვეებს უსვამს კითხვას: ვინ ცდილობს დღეს მორგებს ეკლის გვირგვინს? (სიტყვებით: მონოპოლია, პარანოია, მამულიშვილი – ამყარებს იმ ვარაუდს, რომ ლექსი თანამედროვე ეპოქის სატიკივარს ასახავს). აქედან გამომდინარე, მოზარდმა უნდა გააკეთოს დასკვნა, რომ ავტორი ამ ლექსში გამოკვეთს რამდენიმე პრობლემას: ყოველთვის ღირსეული ადამიანი იმსახურებს ცხოვრებაში მონაწილე გვირგვინს (ეკლის გვირგვინისა და მონაწილე გვირგვინის გაიგივება-დაკავშირება ნესით არ უნდა გაუჭირდეს სკოლა-დამთავრებულ ახალგაზრდას), თუ ხშირად უღირსებიც ცდილობენ, მას წაუბოძონ? ყოველთვის მიაგებენ ღირსეულს საკადრის პატივს, თუ გმირები ხშირად ჩრდილონ რჩებიან და მედროვენი ჩაიგდებენ ხოლმე ხელში სადავეებს, დაფნისა თუ ეკლის გვირგვინებსაც თავად ანაწილებენ? რჩევის სახით შეიძლება მივცეთ მოსწავლეს, რომ ნუ მოერიდება მსჯელობის დროს კითხვითი წინადადებების დასმას, წინადადების მრავალი რაკურსით შეტრიალებასა და აზრის სხვადასხვა ფორმით გადმოცემას, სანამ არ მიაგნებენ იმ წინადადებას, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს სათქმელს. მას შემდეგ, რაც პრობლემა ნაპოვია, მხოლოდ ნახევარი საქმეა გაკეთებული, რადგან ახლა საჭიროა მსჯელობის გაშლა, არგუმენტებისა და ციტატების მოყვანა, პარალელების გავლება... განა ცოტა შემთხვევა ახსოვს ისტორიას, როცა მაჟანნი „გულზე ხელებს ბრავუნით“ (სასურველია, მსჯელობა ლექსის ფრაზებით გავამყაროთ და ციტატა ბრწყალებში ჩავსვათ) აცხადებდნენ: სამშობლო გვიყვარს და სინამდვილეში მტერს ემსახურებოდნენ?! განა ხშირად არ ხდება დღესაც, რომ მენავე პირველი გარბის თავის გადასარჩენად, ხოლო ნავში მსხდომთა ბედი ოდნავადაც არ აღუდგებს (ნავის სიმბოლურ და ალეგორიულ დატვირთვაზე უნდა ვისაუბროთ, როცა ტექსტის მხატვრულ საშუალებებზე ვინადავს? განა სამშობლოს სიყვარულშიც შეიძლება ვინმემ გამოაცხადოს მონოპოლია და სხვას ზემოდან უყუროს, მე შენზე კარგი მამულიშვილი ვარ და ჩემი მადლიერი უნდა იყოთო ყველაინ? ასეთი ხომ, უმეტეს შემთხვევაში, როცა საქმე მოითხოვს, თავუნასავით სოროში იმალებიან და ერის სამსხვერპლო ზვარაკობას სხვას დაუთმობენ? (ალსანიშნავია, რომ ლექსის სტრიქონების პერიფრაზირება უნდა მოხდეს სწორად, თორემ არასწორი პერიფრაზირების შემთხვევაში მსჯელობა არ ჩაითლება მართებულიად). რატომ ცდილობენ ხშირად სახედრები თავზე ეკლის გვირგვინის მორგებას და ადამიანთა შეცდომებში შეეყვანას? ისინი ხომ ვერასოდეს შეძლებენ დათმონ განცხრობა და კეთილდღეობა? ვერასოდეს გაითავისებენ ქვეყნის ტყვილსა და გასაჭირს, ვერასოდეს გაუნდვიან ხელს გაჭირვებაში ჩაყარდნის მოძმეს! ვერც სეტიცხოველს ააგებენ ვერასოდეს, მათ მხოლოდ სეტიცხოველის ამგებთათვის ხელის მოჭრა ხელნეივებათ!

ახლა უკვე შეგვიძლია ლოგიკურად გადავიდეთ ტექსტის მთავარ სათქმელზე. როგორ და სად ვეძებთ ნაწარმოებში მთავარი სათქმელი? დასაწყისში, ფინალში, ერთ კონკრეტულ სტროფასა თუ ცალკეულ წინადადებაში? ალბათ ყველგან, ტექსტშიც და ქვეტექსტშიც, სტრიქონებს მიღმა დატოვებულ სათქმელშიც. სასურველია, მთელ ნაწარმოებში გაბნეული მნიშვნელოვანი ფრაზები წინასწარ მოვნიშნოთ და შემდეგ მსჯელობის დროს განვსაზღვროთ, რომელი როდის გამოვიყენოთ. რაც მთავარია, პასუხი უნდა გავცეთ ნაწარმოებში დასმულ მთავარ კითხვას: ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს? ვინ შეიძლება ჩაითვალოს გმირად დღეს, XXI საუკუნეში, როცა გმირობა რომანტიკულ გატაცებად აღიქმება? ფრაზებით: „ნუთუ იმედი აქვს, რომ არავინ არაფერს იტყვის?“, „დააკვირდით, ვის უნდა თავი რომ დაიმშვენოს წამებულის ეკლის გვირგვინით?“, ცალკეული სიტყვებით: გადაყვლეფილი სინდისი, ანგარებით დაკრუნჩხული ხელი, ლოლიალი, უბადრუკი არსებობა – მუღავნდება პოეტის უარყოფითი დამოკიდებულება იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც დაუმსახურებლად ცდილობენ, მოიპოვონ წამებულის სახელი. შესაბამისად, ასეთი ადამიანი არ იმსახურებს გმირის წოდებას. მაშ ვინ იმსახურებს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იქნება ნაწარმოების მთავარი სათქმელიც. მოსწავლეს, რომელსაც შესწავლილი აქვს

ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები, უეჭველად გაახსენდება ქრისტიანობისათვის თავდადებული ადამიანები: გრიგოლ ხანძთელი, შუშანიკ დედოფალი, აბო თბილელი და სხვ. სახარებისეული ფრაზებიც გაახსენდება: „ვინ აღვიდეს მთასა მაღალს ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა? არამედ უბრალო ხელითა და წმიდა გულით“. უბრალო ხელით კი ვერ დაიტრიალებს ის ადამიანი, რომელიც „გულგრილობით დღეს თანამოდმეს გულს უხეთქავს და მერე უხდის საკადრის ქელეხს“; ვერც წმინდა გული ექნება ადამიანი, რომელიც განდიდების მანიითაა შეპყრობილი და საკუთარი სიდიადე პარანოიად აქვს გადაქცეული. ანგარება, გულგრილობა, უბრალო ფუს-ფუსი, მლიქვნელობა, ქედმაღლობა – ამ თვისებების პატრონი ვერასოდეს შეძლებს დიმიტრიოს ერისათვის თავდადებულ გმირის სახელი. გამოსავალი ერთია: ადამიანები არ უნდა გაჩუმდნენ, როცა უსამართლობასა და უღირს საქციელს წაანუგებინან; არ უნდა დაემონონ და დაემორჩილონ მოძალადეს; უნდა აიხილონ უღირსნი და ტაში არ უნდა დაუკრან მედროვეებს! განა სწორედ საზოგადოების პასიურობის ან კარისკაცთა მლიქვნელობის წყალობით არ აღზევდებიან ხოლმე მოღალატენი და დიდებული მანტიით იმოსებიან?! უნდა ახსოვდეს ყველას, რომ წამებულის გვირგვინი და გმირის სახელი მხოლოდ ტანჯვითა და მსხვერპლის გაღებით მიიღწევა; სასოება, თავმდაბლობა, სათნოება, მოთმინება, სიყვარული, მიტევება, სინანული, მოწყალება – აი, ნაყოფი გამოჩრეულ სულთა; მამულის ერთგულება, ბრძოლაში თავგანწირვა, შრომისმოყვარეობა – აი, საქმენი ღირსეული გმირისა. ყოველივე ერთად კი სამკაულია ეკლისგვირგვინისისა.

როცა ტექსტის მხატვრულ ღირებულებაზე მიდგება საქმე, მოზარდმა უნდა ამოკრიბოს ლექსიდან ყველა ის მხატვრული სახე, რომლის წყალობითაც ავტორმა მოახდინა შთაბეჭდილება მკითხველზე, მოახერხა საკუთარი სათქმელის უკეთ რეალიზება და აღნიშნოს, რა ფუნქცია და დატვირთვა აქვს თითოეულ მხატვრულ ხერხს ნაწარმოებში. შედარება: „სხვებს ზვიდან ისე დაჰყურებს, როგორც თავუნებს“ – ხაზს უსვამს ავტორის ირონიულ დამოკიდებულებას ამპარტავანი და ქედმაღალი ადამიანის მიმართ, ეპითეტები: გადაყვლეფილი სინდისი, უბადრუკი არსებობა, ანგარებით დაკრუნჩხული ხელები – ამძაფრებს შთაბეჭდილებას და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნათელი ხდის ავტორის პოზიციას. მეტაფორულ-ალეგორიული სახე მენავის შეიძლება ცალკე მსჯელობის საგანი გახდეს. რა ახსნა შეიძლება მოუძებნოს მენავეს? ნავს? ნავში მსხდომნი ვინ შეიძლება იყვნენ? მოზარდს არ გაუჭირდება ამ სიმბოლურ სახეზე მსჯელობა, თუკი მენავესა და მესაჭეს გააიგივებს, მენავე წინამძღოლად აღიქმება, ნავი – სამშობლოდ, ხოლო ნავში მსხდომნი ის ადამიანები არიან, რომელთა ბედიც მენავის ნება-სურვილზეა ხშირად დამოკიდებული, ნავში მსხდომი ადამიანები შეადგენენ საზოგადოებას, რომელსაც მენავის სწორად მერჩევა ევალება. გადაჩრება თუ დაილუპება ნავი-ქვეყანა, ხშირად სწორედ მენავის-მეფის, მმართველის გამჭირახობასა და მოხერხებულება დამოკიდებული. თუ ნავი დაზიანდა, მტრის მიერ ან არასწორი მართვის გამო, მენავეც სხვებთან ერთად ხელდაკაპინებული უნდა ზრუნავდეს ნავიდან წყლის ამოხაზვაზე. ზემოდან კი არ უნდა დაჰყურებდეს თანამომეძებს გულგრილად.

ლოგიკურად გადავივართ მოცემული პრობლემის მიმართ საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებაზე: ვეთანხმებით თუ ვენიანაღმდეგებით ავტორისეულ მოსაზრებებს? თუ არ ვეთანხმებით, რატომ? რა საპირისპირო მოსაზრება გავგანჩინებ? იქნებ ჩვენც ვიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომ მენავემ, პირველ რიგში, დიასაც საკუთარი სიცოცხლე უნდა იხსნას, პირადი კეთილდღეობა უნდა ანაცვალოს ნავში მსხდომთა ინტერესებს? იქნებ ვფიქრობთ, რომ საზოგადოებაში ყოველთვის ღირსეულადაა დაფასებული გმირი და წმინდანი და თუ ვინმე ჩრდილში დგას, ესე იგი, არც იმსახურებს მეტს? თუ ავტორს ვეთანხმებით, მაშინ უნდა გავამყაროთ ჩვენი მსჯელობა საკუთარი არგუმენტებით. მატანებები და ისტორიული ფოლიანტები დიდებით მოიხსენიებენ მხოლოდ თვედრი მღვდლებს, ქეთევან დედოფლებსა და დავით აღმაშენებლებს, ხოლო დაუდ-ხანებსა და ლიპარიტებს, ყვარყვარეებსა თუ ორჯონიკიძეებს (თუ მოზარდის ზოგადი განათლება ისტორიაში იძლევა საშუალებას, შესაძლებელია უფრო ღრმა ნიაღვრეც) მუდამ მოღალატეებად და ორგულად შერაცხავენ. სახელს დახარბებულმა ადამიანებმა მოკლეს ოლია, „გადაყვლეფილი სინდისით“ მოსიარულეებმა გადაასახლეს მიხეილ ჯავახიშვილი, ქვეყნის მტრად შერაცხეს ტიციან ტაბიძე და გრიგორ რობაკიძე (ადამიანთა ბიოგრაფია სკოლაში შესწავლილი აქვს მოსწავლეს). ფაშისტებსაც, გერმანელი ხალხს რომ უმაღლეს რასას უწოდებდნენ, მიაჩნდათ, რომ ისინი იყვნენ ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტები, ემსახურებოდნენ გერმანული ხალხის ინტერესებს და ყველა დანარჩენს, ვინც სხვაგვარად ფიქრობდა, სასტიკად უსწორდებოდნენ. თუმცა არც ერთ ფაშისტს არ ეღირსა გმირად ან წმინდანად შერაცხვა. თავად გერმანელები ხვდებოდნენ, რომ ნაციონალურ-სოციალისტური მოძრაობა გერმანიას დალუპავს უქადა. ვერც კომუნისტებმა დატოვეს ღირსეული კვალი, ვერ დაიმშვენეს თავი ეკლის გვირგვინით, რადგან მათი „მახვილი უგუზურება და უმეცრება იყო რეგვენთა“.

სასურველია საბოლოო დასკვნის გაკეთებაც, რომ საზოგადოებას შეუძლია და ევალება კიდევ, უზრუნველყოს ის, რომ უღირს ადამიანს დაუმსახურებელი პატივი არ მიეცოს. არავინ იფიქროს, რომ ამ წერილით მოსწავლეებს მოუწონებდეთ, ჩარჩოებში მოექცნენ და ყველა ნაწარმოები ამგვარი შაბლონით განიხილონ. არც იმის თქმა გვინდა, რომ სათქმელი ამოვწურეთ, ამ ლექსის თითოეული ტაქტი ღირს ცალკე მსჯელობად. უბრალოდ, თუ რამდენიმე აბიტურიენტს ან სკოლის მოსწავლეს მანინ რამეთი წაადგება და დაეხმარება ჩვენი სტატია, მოზარული ვიქნებით.

ქეთი ქათამაძე

144-ე საჯარო სკოლის

ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი




# ფიზიკის კვლევითი დასახმარებლად


## მხარი სხეულების მექანიკური თვისებები

### ამოცანა 29.

ორ მყარ ვერტიკალურ ღეროს შორის გაჭიმულია S განივკვეთის ფართობის მავთული, რომლის დრეკადობის (იუნგის) მოდული E-ს ტოლია. გავიგოთ რა სიდიდის α კუთხით ჩამოიწეეს მავთული მასზე m მასის საწონის ჩამოკიდებისას (იხ სურ. 1)?



სურ. 1



სურ. 2

#### ამოხსნა:

მავთულის შუა წერტილზე მასზე ტვირთის ჩამოკიდების შემდეგ მოქმედებს სამი ძალა (იხ. სურ. 2): ტვირთის სიმძიმის ძალა ( $mg$ ) და მავთულის თითოეული ნახევრის გაჭიმვის შედეგად წარმოქმნილი მოდულით ტოლი დრეკადობის ძალები ( $T_1$  და  $T_2$ ). რადგან ტვირთი წონასწორობაშია,  $mg + T_1 + T_2 = 0$ . ამ ვექტორული განტოლების ვერტიკალურ ღერძზე დაგვიტოლოთ მივიღებთ:  $mg = 2T \sin \alpha$  (1) გამოვიყენოთ ჰუკის კანონი:  $\sigma = \epsilon E$ , სადა  $\sigma$  მავთულის მექანიკური ძაბვაა,  $\epsilon$  - მისი ფარდობითი წაგრძელება.

ჩვენ შემთხვევაში  $\sigma = \frac{T}{S}$  და  $\epsilon = \frac{\Delta l}{l}$ . ამის გათვალისწინებით მივიღებთ:  $\frac{T}{S} = \frac{\Delta l}{l} E$  (2). (1)-დან განვსაზღვროთ T და ჩავსვათ

(2)-ში:  $\frac{mg}{2S \sin \alpha} = \frac{\Delta l}{l} E$  (3). სურ. 2-დან ჩანს, რომ

$\Delta l = 2 \left( \frac{l}{2 \cos \alpha} - \frac{l}{2} \right)$ . ამ გამოსახულების გამარტივებისა და

(3)-ში ჩასმით მივიღებთ:  $\frac{mg}{2S \sin \alpha} = \frac{1 - \cos \alpha}{\cos \alpha} E$  (4).

გამოვიყენოთ ტრიგონომეტრიული თანადრობა

$\cos \alpha = 1 - 2 \sin^2 \frac{\alpha}{2}$  და შევიტანოთ (4)-ში:

$\frac{mg}{2S \sin \alpha} = \frac{2 \sin^2 \frac{\alpha}{2}}{1 - 2 \sin^2 \frac{\alpha}{2}} E$  მცირე კუთხეებისთვის  $\sin \alpha$  შევვიძლია


შევივლოთ  $\alpha$ -თი და  $\sin^2 \frac{\alpha}{2} = \frac{\alpha^2}{4}$  ით, მაშინ ამ  $\frac{mg}{2S \alpha} = \frac{\alpha^2 / 2}{1 - \alpha^2 / 2} E$

გამოსახულებაში  $\frac{\alpha^2}{2} \ll 1$ . ამიტომ მივიღებთ:  $\frac{mg}{2S \alpha} = \frac{\alpha^2}{2} E$ ,


აქედან კი საბოლოოდ:  $\alpha = \sqrt[3]{\frac{mg}{SE}}$

### ამოცანა 30.

$m=100$  კგ მასის ძელი ჩამოკიდებულია სიმეტრიულად განლაგებული სამი ტოლი სიგრძის და განივკვეთის ფართობის მავთულით (იხ. სურ. 1). გავიგოთ თითოეული მავთულის დრეკადობის ძალა, შუა მავთული ფოლადისაა, კიდურა მავთულები კი - სპილენძის. ჩავთვალოთ, რომ ფოლადის დრეკადობის მოდული ორჯერ მეტია სპილენძის დრეკადობის მოდულზე.



სურ. 1



სურ. 2

#### ამოხსნა:

ცხადია, რომ სიმეტრიის მოსაზრებებიდან გამომდინარე სამივე მავთული ერთი და იმავე სიდიდით გაიჭიმება, ანუ  $\Delta l_1 = \Delta l_2 = \Delta l_3 = \Delta l$ . ძელის წონასწორობის გამო  $mg = 2T_1 + T_2$  (იხ. სურ. 2). ჰუკის კანონის თანახმად

$T_1 = \frac{E_1 S \Delta l}{l}$  და  $T_2 = \frac{E_2 S \Delta l}{l}$ , სადა S არის მავთულების


განივკვეთის ფართობი, l მათი სიგრძის სიგრძე და  $E_2 = 2E_1$  შესაბამისად ფოლადისა და სპილენძის დრეკადობის მოდულები. ამის გათვალისწინებით მივიღებთ, რომ  $T_2 = 2T_1$  და  $mg = 4T_1$ . აქედან  $T_1 = mg/4 = 250$  ნ და  $T_2 = 500$  ნ.

### ამოცანა 31.

განვსაზღვროთ მაქსიმალურად დასაშვები წირითი სიჩქარის სიდიდე ტყვიის თხელი ერგვაროვანი რგოლის ბრუნვისას, თუ ტყვიის სიმტკიცის ზღვარი  $p = 2 \cdot 10^7$  პა-ის ტოლია, მისი სიმკვრივე  $\rho = 11,3 \cdot 10^3$  კგ/მ<sup>3</sup>-ს.

#### ამოხსნა:

განვიხილოთ რგოლის მცირე ზომის რკალი (იხ. სურათი, სადაც რკალის და რკალის რკალი შესაბამისი კუთხის ზომები გაცილებით დიდი მასშტაბითაა ნაჩვენები).



რგოლის ამ ნაწილზე მოქმედებს მოდულით ტოლი დაჭიმულობის ძალები ( $T_1$  და  $T_2$  სურათზე) დანარჩენი რგოლის მხრიდან. ამ ძალების ტოლქმედი სიმეტრიულად გამო მიმართული იქნება რგოლის ცენტრისკენ და რგოლის

რკალს ანიჭებს ცენტრისკენულ აჩქარებას:  $a = \frac{v^2}{R}$ , სადაც v სამიველი სიჩქარეა, R - რგოლის რადიუსი. ნიუტონის მეორე კანონის თანახმად  $\vec{F} = m\vec{a}$  აქ  $\vec{F} = T_1$  და  $T_2$  ძალების

ტოლქმედი და მისი მოდული ტოლია  $2T \sin \frac{\alpha}{2}$  (იხ. სურათი),

ანუ  $2T \sin \frac{\alpha}{2} = m_1 \frac{v^2}{R}$ . თუ გავითვალისწინებთ, რომ  $\alpha$  მცირეა,

ამ განტოლებაში  $\sin \frac{\alpha}{2}$ -ს ნაცვლად შევვიძლია  $\alpha/2$  ჩავწეროთ.

ე.ი.  $T \alpha = m_1 \frac{v^2}{R}$  (1). აქ  $m_1$  რკალის მასაა, რომელიც მთელი

რგოლის მასასთან (m) შემდეგნაირად შეიძლება დავაკავში-

როთ:  $m_1 = m \frac{\Delta l}{l}$  (2), სადაც  $l = 2\pi R$  რგოლის სიგრძეა, ხოლო  $\Delta l$

მოცემული რკალის სიგრძე, რომელიც მისი მოჭიმავი

კუთხის სიმცირის გამო შემდეგნაირად შეიძლება გამოვსახოთ:  $\Delta l = R\alpha$ . მიღებული გამოსახულებების (2)-ში ჩასმით მივიღებთ:  $m_1 = m R \alpha / 2\pi R = m \alpha / 2\pi$ . რგოლის მასა  $m = \rho V$ , სადაც V რგოლის მოცულობაა, რომელიც ტოლია:  $V = 2\pi R S$ , სადაც S რგოლის განივკვეთის ფართობია. ჩავსვათ მოცულობის მნიშვნელობა მასის ფორმულაში:  $m = \rho 2\pi R S$ , ეს ფორმულა კი - რკალის მასის გამოსახულებაში:  $m_1 = \rho R S \alpha$ . მიღებული ფორმულის (1)-ში ჩასმით მივიღებთ:

$T \alpha = \rho R S \alpha \frac{v^2}{R}$ , ანუ  $T = \rho S v^2$ . რგოლის სიმტკიცის


ზღვარი  $p = T/S$ , ამიტომ  $p = \frac{\rho S v^2}{S} = \rho v^2$

საიდანაც  $v = \sqrt{\frac{p}{\rho}} = \sqrt{\frac{2 \cdot 10^7}{11,3 \cdot 10^3}} \approx 42$  მ/წმ.

### ამოცანა 32.

ორ მასიურ კედელს შორის მოთავსებულია ერთნაირი S განივკვეთის ფართობის l1 და l2 სიგრძის ორი სხვადასხვა მასალის ღერო (იხ. სურათი). რა ძალით ურთიერთქმედებს ღეროები ერთმანეთთან მათი ტემპერატურის  $\Delta t$  სიდიდით ცვლილებისას, თუ ღეროების წრფივი გაფართოების ტემპერატურული კოეფიციენტებია  $\alpha_1$  და  $\alpha_2$ , ხოლო დრეკადობის მოდულები შესაბამისად E1 და E2. კედლების დეფორმაცია უგულებელყოფილია.

#### ამოხსნა:



თავისუფალ მდგომარეობაში ღეროების გათბობისას მათი სიგრძეები გაიზარდებოდა  $\Delta l_1$ -ით და  $\Delta l_2$ -ით, რაც გამოიწვევდა ღეროების საერთო სიგრძის გაზრდას სიდიდით  $\Delta l = \Delta l_1 + \Delta l_2$ . ღეროების წრფივი გაფართოების ტემპერატურული კოეფიციენტები გამოითვლება შემდეგი ფორმულებით:

$\alpha_1 = \frac{\Delta l_1}{l_1 \Delta t}$  და  $\alpha_2 = \frac{\Delta l_2}{l_2 \Delta t}$  საიდანაც  $\Delta l = (\alpha_1 l_1 + \alpha_2 l_2) \Delta t$  (1).

კედლების ზემოქმედების გამო ღეროები იკუმშება ამავე სიდიდით, რაც წარმოქმნის მათ ერთმანეთთან (და კედლებთანაც) ურთიერთქმედების ძალას (F), რომელიც შეიძლება გამოისახოს ჰუკის კანონის მეშვეობით:

$F = E_1 S \frac{\Delta l_1'}{l_1} = E_2 S \frac{\Delta l_2'}{l_2}$  (2), სადაც  $\Delta l_1'$  და  $\Delta l_2'$  თითოეული ღეროს

შეკუმშვის მნიშვნელობებია და ისინი აკმაყოფილებენ ფორმულას:  $\Delta l = \Delta l_1' + \Delta l_2'$  (3). (2)-დან გამოვთვალოთ  $\Delta l_2'$  და

ჩავსვათ (3) ფორმულაში, მივიღებთ:  $\Delta l = \Delta l_1' + \frac{E_1 l_2 \Delta l_1'}{E_2 l_1}$ . აქედან

$\Delta l_1' = \frac{E_2 l_1 \Delta l}{E_2 l_1 + E_1 l_2}$  თუ  $\Delta l$ -ს შევცვლით (1) გამოსახულებით,

მივიღებთ:  $\Delta l_1' = \frac{E_2 l_1 (\alpha_1 l_1 + \alpha_2 l_2) \Delta t}{E_2 l_1 + E_1 l_2}$ . მიღებული მნიშვნელობის

(2) ფორმულაში ჩასმით საბოლოოდ მივიღებთ ღეროებს შორის ურთიერთქმედების ძალის მნიშვნელობას:

$F = \frac{E_1 E_2 S (\alpha_1 l_1 + \alpha_2 l_2) \Delta t}{E_2 l_1 + E_1 l_2}$ . მიღებული შედეგი განსხვავებული

სახითაც შეიძლება ჩაიწეროს, თუ მრიცხველსა და მნიშვნელობას

$E_1 E_2$ -ზე გავყოფთ:  $F = S \Delta t \frac{\alpha_1 l_1 + \alpha_2 l_2}{\frac{l_1}{E_2} + \frac{l_2}{E_1}}$ .

### თეორიულ განივი

აკად. ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი და დირექტორის მოადგილე

# მამასთან მხვედრის ნატვრაში გაღებული გავგებობა



თეიმურაზ ლორთქიფანიძე

### შთაშინაველობა

საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში, როგორც ყველა ჩვენგანს, ბევრჯერ დამინერია საკუთარი ბიოგრაფია, რომელიც ყოველთვის ასე იწყებოდა: „დავიბადე 1920 წლის 30 იანვარს, ვანის რაიონის სოფელ ისრითში, მოსამსახურის ოჯახში...“ და ასე მთავრდებოდა „ვარ სკკპ-ს წევრი 1963 წლიდან.“

მხოლოდ ხანდაზმულობისას, 70 წლის ასაკში მომეცა საშუალება, უშიშრად დამენერა, რომ 1920 წლის 30 იანვარს დაიბადე ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, პირველი ქართველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, განათლების და სამხედრო მინისტრის გრიგოლ ლორთქიფანიძის ოჯახში. 70 წლის ასაკში პირველად უშიშრად ვთქვი, რომ დედაჩემი, ლიუბოვ აბრამენკო, უკრაინელი დიდგვაროვანი მრეწველის ქალიშვილი იყო, რომელიც მამამ, 1916 წელს გადასახლებაში ყოფნისას, ვორონეჟის გუბერნიაში გაიცნო. მამინ დედა დაბა ურუს კომერციული სასწავლებლის პედაგოგი იყო. მან ბოლომდე უერთგულა ტრაგიკული ბედის მემკვიდრის, მის სამშობლოს – საქართველოს. შიშით, ტანჯვით და ვეგებით გამოზარდა სამი შვილი და მარადიულ საუფლოში ისე გადავიდა, ერთი საყვედურიც არ დასცდენია.

მთელი ჩემი ბავშვობა მამასთან მხვედრის ჩუმ ნატვრაში გაილია. მამასთან უშუალო კონტაქტი არ გვქონია, მას ფოტოსურათებით, წერილებითა და დედის ნაამბობით ვიცნობდით. მრისხანე დრო იყო. მე და ჩემმა და-ძმამ ვიცოდით, რომ მამაზე ჩურჩულით ლაპარაკიც კი ძალიან საშიში იყო. დედაჩემი, პაპა-ბებია და უახლოესი ნათესავები წლებზე ფეხს იდგამდნენ, დღე და ღამე ასწორებდნენ, რომ როგორმე ოჯახი ისე გამოეკვებათ, ყველგან ჩასაფრებულ ჩეკისტებს თვალში არ მოხვედროდნენ. თითქმის 30 წლის განმავლობაში ვატარებდით სამშობლოს მოვალეობის ოჯახის დამლა, ახლაც, ამ სიტყვის გაგონებაზე, ტანში ძველებურად მზარავს.

ადრეული ბავშვობა ჩემს უშეწყენიერეს სოფელ ისრითში გავატარე. 1926 წლიდან საცხოვრებლად თბილისში გადავადგილდით. თუმცა, 1935-36 წლებში, უკიდურესი გაჭირვების გამო, ისევ ისრითში დავბრუნდით, სადაც კოლმეურნეობის წევრად

სიმინდის ყანებში მომიხდა მუშაობა – სიმინდის თოხნა, საკარმიდამო ნაკვეთში ვენახსაც ვუვლიდი...

### მხვედრა მამასთან

უსაზღვრო იყო ჩვენი სიხარული, როდესაც მამა, 1928 წელს, გადასახლებაიდან, ივლისში, ერთი თვით თბილისში ჩამოვიდა. იგი შეხვდა და ესაუბრა საქართველოს იმდროინდელ ხელისუფლების წარმომადგენლებს – ლ. ლოლობერიძეს, კახიანს, ფ. მახარაძეს და სხვ. ლ. ლოლობერიძემ მამას შერიგება სთხოვა და თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწეობა შესთავაზა... მამამ შერიგებაზე უარი განაცხადა, რაც ასე განმარტა: „შერიგებაზე ჩემი თანხმობა ღალატი იქნება იმ პოლიტპატიმრებისადმი, რომლებიც ჩემთან ერთად იმყოფებიან გადასახლებაში. საქართველოში მე მხოლოდ ამ უდანაშაულო ქართველებთან ერთად უნდა დავბრუნდე“. ამის შემდეგ მამასთან ერთად გავემგზავრეთ სოფელ ისრითში, მშობლებისა და ნათესავების სანახავად. ეს იყო ჩვენი ხანმოკლე, მაგრამ უბედნიერესი დღეები.

1931 წელს კიდევ ერთხელ და უკანასკნელად ვნახეთ მამა ვორონეჟში. მან სურვილი გამოთქვა, მთელ ოჯახს ერთად გადაგველო ფოტოსურათი. ამ სურათს სათუთად ვინახავდით.

### მამა

მამა 1881 წელს, ვანის რაიონის სოფელ ისრითში, სპირიდონ ლორთქიფანიძის ოჯახში დაიბადა. ამაღლების დანყებითი ოთხწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლას ქუთაისის თავადაზნაურთა გიმნაზიაში აგრძელებს. 1902 წელს ჩაირიცხა ნოვოროსისის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე, სადაც, ტრადიციულად, ქართველი ახალგაზრდების დიდი ჯგუფი იღებდა განათლებას. მამა ქართველი ახალგაზრდების სათვისტომოს წევრი იყო, აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში, ორგანიზატორობდა პოლიტიკურ გაფიცვებს. რის გამოც, უნივერსიტეტიდან გარიცხეს და სხვა მემამბოხე სტუდენტებთან ერთად ციხეში ჩასვეს. გარკვეული პერიოდის შემდეგ, კვლავ უბრუნდება ნოვოროსისის უნივერსიტეტს, მაგრამ ამჯერად სპეციალობას იცვლის და ირჩევს – ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტს ფილოსოფიის განხრით.

მამა მიესალმა 1917 წლის თებერვალ-მარტის დემოკრატიულ რევოლუციას, მაგრამ პროტესტით შეხვდა ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებს. მიანდაც, რომ ლენინმა და მისმა თანამოაზრეებმა დაამახინჯეს მარქსის მოძღვრება, ჭეშმარიტი სოციალიზმის გზიდან გადაუხვიეს, უხეშად ჩაერივნენ საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერ პროცესში, რუსეთის შესთავაზეს სოციალიზმის მშენებლობის მეტისმეტად მტკიცეული, უპრეცედენტო მოდელი და რუსეთის იმპერია ანარქიის მორევში, სამოქალაქო ომის ალში გაახვიეს.

მამა აკრიტიკებდა ყველას, ვინც გადაჭარბებით აფასებდა რუსეთთან შერთების დადებით როლს. მისი აზრით, ქართველმა პოლიტიკოსებმა 1783 წლის ტრაქტატში ის იმედი ჩადეს, რომ აღდგებოდა საქართველოს მთლიანობა და რუსეთის გავლით, გზა გაიკაფებოდა დასავლეთის ცივილიზაციისაკენ, მაგრამ იმედი არ გამართლდა. რუსეთმა, ფაქტობრივად, მოძალადის ადგილი დაიკავა. საქართველოში შემოჭრისთანავე, როგორც მამა ამბობდა: „პირდაპირ მიზნად დაიხსნა ქართველი ხალხის შეგნებასა და ხსოვნაში არამცთუ მარტო ქართული სახელმწიფოებრიობის იდეის აღმოფხვრა, არამედ თვით ეროვნული მეობისა და შეგნების ნაშლაც“.

რუსეთი ვერ შეურიგდა რესპუბლიკების ეროვნულ განსხვავებას, მიზნად დაისახა მათი დისკრიმინაცია და რუსიფიკაცია. რუსეთის ცარიზმი, მისი მოხელეები თითქოს და მფარველად ევლინებოდნენ იმპერიის ბაგონობის ქვეშ მოქცეული ისტორიული ერების ტერიტორიებზე მოსახლე მცირე ეროვნებებსა და ტომებს, სინამდვილეში კი, აი, რას წერს ამის შესახებ მამა: „თავგამოდებით ზრუნავდნენ, მაგალითად, ოსებსა და აფხაზებზე, თქვენ წარმოიდგინეთ მეგრულ-ჭანურ-სვანურ კულტურებზეც. ყველა სათვის ცხადი იყო, რომ რუსული კაცობა შოიზიზმს მართლაც ის კი არ აინტერესებდა, რომ აფხაზური, ოსური, აჭარული და სხვა ეროვნული მწერლობა და კულტურა შეექმნა. მისი სანუკვარი მიზანი იყო საქართველოს ეროვნულ-კულტურულ ოჯახში შინაგანი დაშლა, გახრწნა და აფორიაქება შექტანა. რუსულ პოლიციასა და რუსულ სინოდს ისევე ეზიზღებოდა აფხაზობა და ოსობა, როგორც ქართველო-

ბა... ამავე მიზნით, ხელოვნურად გამოჭრეს საქართველოს ცოცხალი სხეულიდან ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც როკისა და მამისონის უღელტეხილებზე რუსული იმპერიალიზმის პოლიტიკურ და სტრატეგიულ დასაყრდნობად იქნა გამიზნული“.

### ემიგრაციაში განხრული მთავრობა

1921 წლის თებერვალ-მარტში, დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე, საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოჭრისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის გამო, 1921 წლის 17 მარტს, ქუთაისში, გაიმართა საზავო მოლაპარაკება საქართველოს ეროვნულ მთავრობასა და ახლად მოვლენილ საბჭოთა ხელისუფლებას შორის. სამარცხვინო, გასაოცარი და ბედის მწარე ირონია გახლდათ ის ფაქტი, რომ საზავო მოლაპარაკების დროს, ორივე მხარეს ქართველები იხსდნენ და იყოფდნენ საქართველოს: დამარცხებული ეროვნული მთავრობის მიერ გამოგზავნილი – მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე, ხოლო გამარჯვებულის – საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებს იცავდა მამა ორახე-დაშვილი, მოსკოვიდან კი, უშუალოდ ლენინის წარმომადგენელი, ისევ ქართველი – აბელ ენუქიძე გახლდათ. ასე მოხდა უცხო, მტრული ძალის მიერ მოსყიდული ქართველი ბოლშევიკების ხელით საქართველოს დამარცხება და დაპყრობა. ეს არის სამარცხვინო ისტორიული აქტი! აი, რას წერს მამა: „ცნობილია, რომ რუსეთი როგორც ომის დროს, ისე ოკუპაციის ხანაში მუდამ ცდილობდა ქვეყნისთვის ისე მოეწყობინა, თითქოს რუსეთი კი არ იპყრობდა საქართველოს, არამედ, რუსეთის ნითელი მხედრობა მხოლოდ დახმარებას უწევს ამოხეხულ ქართველ მუშებსა და გლეხებს“.

მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა... საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა ემიგრაციაში გახიზნულიყო. ნოე ჟორდანიას მთავრობას მამა ემიგრაციაში არ გაჰყლიდა. ევროპაში, კერძოდ მარსელიისკენ მიმავალი გემიდან თვითონაც ჩამოვიდა, მუხლზე და მცირეწლოვანი შვილებიც ჩამოიყვანა: „ახლა არ არის იმის დრო, რომ აქედან გავიქცე, მე უნდა ვიყო იქ, სადაც ჩემ ხალხს უჭირს... მან ჩათვალა, რომ საქმე ნაგებული იყო და ქვეყნის მომავალი ბედ-იღბალი ამიერიდან ევროპის დახმარებაზე კი არა, თვით ქართველ ხალხზე იყო დამოკიდებული. მამამ იმდენი მაინც გააკეთა, რომ დაითანხმა მთავრობაზე განაყენებული გენერალი მახინაშვილი და სამხედრო ძალები, გენერალ მახინაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული საბრძოლო ოპერაციებით, თურქთა აგრესიული ზრახვები ჩაშალეს და გადაწყვეტილი როლი შეასრულეს ბათუმის ოლქის შენარჩუნებისათვის. მართალია, მამა სამხედრო სპეციალისტი არ ყოფილა, მაგრამ ქართული შეიარაღებული ძალების ორგანიზების საქმეში თეორიულად და პრაქტიკულად მონაწილეობდა.“

1921 წლის მარტიდან, როცა საზღვარგარეთ ნასვლაზე მამამ უარი თქვა, დავსახლდით სოფელ ისრითში, მამა მოხუც მშობლებს ამოუდგა მხარში საოჯახო მეურნეობის მოწესრიგებაში, მაგრამ ადგილობრივმა რეკომმა იგი საეჭვო პირობა მიიჩნია და დააპატიმრეს. იმ დანყველილმა ღამემ ძირფესვიანად შეცვალა ჩვენი ცხოვრება. დედის დიდი ჯაფა დაანვა. ფიზიკურ

შრომას მიუჩვეველი, საათობით მხარებოდა ბაბუას ვენახის მოვლასა და სიმინდის ყანის თოხნაში. ამას ისიც დაერთო, რომ მალარიამ მაგრად დაგვრია ხელი. დედა ჩვენი მოვლა-პატრონობის გარდა, ხშირად აკითხავდა მამას თბილისის ციხეში და იგებდა მის ამბავს. ამისთვის დიდი მანძილის ფეხით გავლა უხდებოდა სოფლიდან უახლოეს რკინიგზის სადგურ კოპიტნარამდე, რომელიც 30 კილომეტრითაა დამორებული ჩვენს სოფელს. ერთხელ დედა მეტად გადაღლილი და მალარიისაგან დასუსტებული გამგზავრა თბილისში. მამასთან მორიგ შეხვედრას ელოდა, მაგრამ ციხეში განუცხადებიათ, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძე, როგორც პატიმარი-მძევალი, რუსეთში გადაასახლესო.

### „ფიქრები საქართველოზე“ – საკანი N13

„ფიქრები საქართველოზე“, რომელიც მამამ გადასახლებაში დაწერა, იწყება მინიშნებით: „რუსეთი. ქ. სუხდალი, ვლადიმერ გუბ. საგანგებო ბანაკის სამონასტრო საყვრობილე. საკანი N13. თებერვალი 11 დღე, 1924 წელი“ – და მთავრდება მინიშნებით: „ფიქრები საქართველოზე“, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, შევწყვიტე 1924 წლის დაახლოებით ივნისის პირველ, თუ მაისის უკანასკნელ რიცხვებში. მოვასწარი მხოლოდ განზრახულის დაახლოებით ერთი მესამედის დაწერა და ისიც შავათ, გაუსალამინებლად... არ ვკარგავ იმედს, რომ მომეცემა საშუალება (ტყვეობის პირობები და სხვა) და შევძლებ მის დასრულებას. უკვე დაწერილს სხვა ხელნაწერთან ერთად მე და ჩემი მეგობარი მის დღიურებთან ერთად ვფლავთ დღევანდელ საიდუმლო ადგილას, რადგან ჩეკისტები ჩვეულებრივად გვართმევენ ხოლმე ყოველგვარ ხელნაწერს (1 დეკემბერი 1924 წ. დილის 11 საათი, გრ. ლორთქიფანიძე).“

სუხდალის ციხეში რვეულის გაცრცილ და გახუნებულ ფურცლებზე, აზროვნებისა და წერისათვის სრულიად შეუფერებელ პირობებში, მამამ დაასრულა თავისი ნაშრომი „ფიქრები საქართველოზე“, რომელიც პოლიტიკური ესეს ბრწყინვალე ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. წიგნი შეფასებული არა მხოლოდ დემოკრატიული საქართველოს სამშლიანი მოღვაწეობა და ახსნილია მისი დაცემის მიზეზები, არამედ გაანალიზებულია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 1783 წლის ტრაქტატიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე. მამას კეთილმა მეგობრებმა საიდუმლოდ ჩამოიტანეს რუსეთიდან ერთი თვითნაკეთი ჩემოდანი, რომელშიც მისი ნაწერები იყო შენახული. როცა დავრწმუნდით, რომ მამა აღარ დაბრუნდებოდა, გადავწყვიტეთ ჩემოდანი გავეხსნა, აქ იყო თავმოყრილი მთელი მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. ამ ნაწერების ნაკითხვამ სულ სხვა თვალთ დაამანახა მამა. ის მარტო საკუთარ ოჯახზე და მის კეთილდღეობაზე კი არ ზრუნავდა, არამედ იყო ჭეშმარიტი ერისკაცი, მუდამ ფიქრობდა და ზრუნავდა საქართველოზე, მის განახლებაზე და აღორძინებაზე. მამამ ბევრი სასარგებლო ეროვნული საქმე გააკეთა, ბევრს მიიღწია და თუ ყველაფერი ვერ მოასწრო და ვერ მოახერხა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას ამისთვის არ იყო სიცოცხლე.



XX საუკუნის პორტრეტები

მოსკოვი, კრემლი, სტალინს მამა ნათლად ხედავდა, რომ ბოლშევიკური რეჟიმი რუსეთს არავითარ სასიკეთოს არ უქადდა. ნების ლენინურმა პოლიტიკამ იმედი ალუძრა - ეგებ ქვეყანა ევროპული სოციალიზმისაკენ შემობრუნებულიყო, მაგრამ ლენინის სიკვდილის შემდეგ ნების ლიკვიდაციამ, ინდუსტრიალიზაციასა და კოლექტივიზაციაზე აღებულმა კურსმა მამა ისევ დაალონა. მან იგრძნო, რომ ასეთი ქვეყანა კატასტროფას ვერ ასცდებოდა. მხარე ხედრის წინაშე იდგა მისი სამშობლო - საქართველო, რომელიც თავისი სამეურნეო სპეციფიკით გიგანტომანიისათვის შემზადებული არ ყოფილა და ეროვნულადაც განწირული იყო გაქრობისათვის. ამიტომ სტალინის მიმართ მას მტკიცედ ჩამოუყალიბდა ნეგატიური დამოკიდებულება და ეს არც დაუფარავს. მაშინ როცა სტალინის დაბადების 50 წლისთავს მთელი საბჭოთა ქვეყანა ზეიმობდა, მამა კურსიდან ასეთ მისალოც დეპეშას უგზავნის საბჭოური ქვეყნის მესაჭეს:

„მოსკოვი, კრემლი; სტალინს. დღეს თქვენ ტრიუმფატორი ხართ. რომის ტრიუმფებში მონაწილეობდა საგანგებო მონა, რომელიც დიდ გამარჯვებულს შეახსენებდა მის ცალკეულ შეცდომებს და ბედის ცვალებადობას. შუა საუკუნეების რუს მეფეებს კრიტიკოსებად სალოსები ჰყავდათ.

არ ვდგავარ რა ტრიუმფატორის უაფგუსტოესი ეტლის ძარის უკან სატერფალზე და არც კარის სალოსი გახლავართ, რასაკვირველია, ასეთი იმუნიტეტის ქონას არ ვვარაუდობ, მაგრამ მაინც მივცემ ჩემ თავს უფლებას, რომ შევიტანო ერთგვარი დისონანსი (სულერთია მას მაინც არავინ გაიგონებს) იმ ხოტბა-დიდების ქორში, რომელიც გარს გახვევიათ თქვენი განხვარი საუკუნის დღეს. რაც შეეხება ჯანმრთელობას, დღევანდელობასა და ა.შ. ბევრი ჩვენთაგანი მას გულწრფელად გისურვებთ, მაგრამ მინდა შეგახსენო, რომ თქვენი იუბილე დაემთხვა ორი უმნიშვნელოვანესი, აღმაშფოთებელი წინააღმდეგობრიობა და თქვენი მიერვე შექმნილი ისტორიული ფაქტი ეროვნული პოლიტიკის სფეროდან: ტაჯიკებისათვის მოკავშირე რესპუბლიკის უფლებების მიცემა და იმავდროულად საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ავტონომიის ნიშნითა საბოლოო ლიკვიდაცია და მათი გადაქცევა რუსულ საბჭოთა საადგილმამულოდ კრინიკის მეთაურობით.

საუკეთესო საიუბილეო მისალმებებთან ერთად ვისურვებდი, რომ თქვენ და თქვენი თანამებრძოლები საბოლოოდ არ დაგატყვევოთ ძველ-რუსული კრემლის ისტორიულმა არსილებამ და რომ მოსკოვის დიდმპყრობლობამ მეტად ვერ შედლოს ინტერნაციონალიზმის დიადი იდეის მენამულ ტოვავში გახვევა. გრიგოლ ლორთქიფანიძე, 1929, 27.09.“

არავინ იცის, წაკითხეს თუ არა ეს დეპეშა სტალინს... თუმცა, მამა დეპეშის გაგზავნის მეორე დღესვე დააპატიმრეს. ექვსი თვის შემდეგ, მამას ციხიდან მოულოდნელად ათავისუფლებენ და, რადგან მამას საქართველოში დაბრუნების უფლება არ ჰქონდა, ვორონეჟში, 3 წლით იძულებულ ცხოვრებას უსჯიან.

ПИСЬМО-ЗАПИСКА

1935 წელს, სსრკ საბჭოების მეექვსე ყრილობაზე, გადაწყდა „გამარჯვებული სოციალიზმის“ კონსტიტუციის შემუშავება. მამა ალამფოთა სტალინურმა კონსტიტუციამ. ამავე წლის 24 მარტს, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს, სტალინს და წევრებს: მოლოტოვს, ლიტვინოვსა და რედესს უგზავნის 36 გვერდის მოცულობის წერილს, კონსტიტუციისა და ეროვნულ საკითხებზე თავისი მოსაზრებებით. წერილი-მოსხენება უაღრესად საყურადღებო დოკუმენტია, მოიცავს ვრცელ ანალიზს საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლიდანვე დაშვებული პრინციპული ხასიათის შეცდომებისა.

„ღრმად პატივცემულო იოსებ ბესარიონის ძე! თქვენი ინიციატივით დადგა კონსტიტუციის გადემოკრატიულობის თვალსაზრისით, მისი გადახედვის საკითხი. გვინდა გვეჯეროდეს, რომ სწორედ ასე იქნება და გამტკნარდებიან ის სკეპტიკოსები და აყვირები, ვინც ამ დეკლარაციას მხოლოდ „ბოლშევიკურ ბლეფად მიიჩნევენ და წინასწარმეტყველებენ - კომუნისტური დაპირებების იაღბუზი, ჰა და ჰა, დემოკრატიულ ნრუნუნას შობს.“

რალა თქმა უნდა, ფუჭია ფიქრი, ვითომც საკონსტიტუციო კომისია მოგვისმენს ყველა სოციალურ-პოლიტიკურ საკითხზე, მაგრამ, ვბედავთ, სიტყვა მოგანვინიოთ ამ წერილის მეშვეობით, ზოგადად, ნაციონალურ საკითხებზე, სახელმძღვანელო კი, საბჭოთა საქართველოზე, რადგანაც მისი გასაბჭოების დღიდან აქამდე, გარიყულნი ვართ და სოციალიზმისა და სამშობლოს მტერთა სიამო ვირიცხებით...“

ამ წერილის სრულად წაკითხვა თავზარდამცემია, გააზრება იმისა, თუ რას ნერს მამა, როდის ნერს და ვის სწერს... ბუნებრივია, ბელადის კრიტიკას მამას არავინ აპატიებდა...

1936 წელს, დეკემბერში, დედამ მიიღო მამის წერილი: „მინდა ერთი სასიხარულო ამბავი გაცნობო. ჩემი დავა განათლების კომისარ ბაბუნოვთან პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩემს სასარგებლოდ გადაწყვიტა. რაც, ცხადია, იმის უტყუარი დასტურია, რომ მე გამანათავისუფლებენ. მომცეს გაცდენილი პერიოდის უფლადი კომპენსაცია, 2600 მანეთი, რასაც გვგზავნი ოთახის სასყიდლად. ცხადია, ეს მატერიალური ანაზღაურება ისეთი ღარიბი პიროვნებისთვის, როგორიც მე ვარ, მნიშვნელოვანი საქმეა, მაგრამ მთავარი მაინც სხვა არის. თვით ფაქტმა, რომ მე გავიმარჯვე, დიდი მოქალაქეობრივი და მორალური კმაყოფილება მომანიჭა.“ - ამ წერილში მთელი ოჯახი გაგვახარა, მამას გადასახლების ვადა გაუთავდა და ემზადებოდა სამშობლოში დასაბრუნებლად, მაგრამ მამა, განათავისუფლების ნაცვლად, 1937 წელს, ხუთი წლის ვადით, ციმბირში, ერთ-ერთ გამასწორებელ ბანაკში, რკინიგზის მსაფინებლობაზე გადაასახლეს, სადაც იგი უკიდურესად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა.

აი, რას ნერს მამა ლეო რუსაძეს: „ძვირფასო შვილობილო! მრავალს გაკოცებ სიყვარულით. ჩემი ამბავი გეცოდინება. ასე გვითხრეს, 13 იანვარს დაგინზადებთ სამშობლოში წასასვლელ დოკუმენტებსო. დათქმულ დღეს კი გამოგვიცხადეს დაპატიმრება და დაგვინიშნეს ჩხრეკა. იმავე საღამოს წავიკითხეთ 21 დეკემბრის დადგენილება: ხუთი წელი გამასწორებელი ბანაკი. 17 იანვარს გაგვგზავნენ ციმბირში - მარინსკში, ხოლო აქედან მიგვიყვანეს კუზნეცკში. ამგვარად თვეზე მეტია არ მოგვიცილდა გადასახლება და ეტაპი. ბოლოს გამოგვიცხადეს: გაგზავნით გორნომორის ბანაკში, რკინიგზის შენებაზე. ეს ყველაზე მძიმე ბანაკია მთელ ციმბირში, სადაც ზაფხული თითქმის არ იცის. ალექსანდრე დეგებუაძე ძალიან დასუსტებულია, ძველებად და უმთავრესად ნერვებად არის ცქეული. მე თითქოს არა მიშავრა, ოღონდ ევარის, ბრონიტი დაემართა და ქრონიკული სურდო, მკებნარებმა ამიკლეს და მანამებუნ. ველით ამ დღეებში გაშვებულებს. იციან თუ არა სახლში ჩემი ამბავი, არ ვიცი. მოკითხვა გრიშას და სხვებს. შენი მამა.“

იქ არსებულმა აუტანელმა, კატორღულმა შრომამ მამა საბოლოოდ დააავადმყოფა. გადიოდა თვე-

ები, წლები და მამის შესახებ ვერაფერს ვიგებდით. მამაჩემის კვალი დაიკარგა... მხოლოდ ოცი წლის შემდეგ, 1954 წელს დედას მის უკანასკნელ განცხადებაზე ასეთი პასუხი მოუვიდა: „გრიგოლ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძე 1937 წელს 2 სექტემბერს (2 სექტემბერი მამას დაბადების დღეა) ბერიასა და ქობულაძეთან დაკითხვის დროს გარდაიცვალა.“ მამას კრიტიკული დამოკიდებულება ბელადისადმი ბერიას მახვილ თვალს, ცხადია, არ გამოჰპარვია და ეძებდა საბჭოს მის მოსაპოვებლად. და აი, ნამოტივტივდა ქობულაძის შეთითხნილი საქმე თითქოსდა საქართველოს ემიგრაციასთან გრიგოლ ლორთქიფანიძის კავშირის შესახებ. ქობულაძე თავის დასმენაში მიუთითებდა, რომ ნოე უორდანიას გრიგოლ ლორთქიფანიძე, როგორც თვითონ აცხადებს, საქართველოში ყველაზე საიმედო დასაყრდენ ძალად მიჩნიაო. ამის შემდეგ მამა ციმბირიდან საქართველოში ჩამოჰყავთ და ჩეკას ჯურღმულეებში წამებით ხდიან სულს.

პოლიტიკური ანდერძი

მამა ალბათ ფიქრობდა, რომ ჩეკას ტყვეობას თავს ვერ დააღწევდა და ამიტომ, ქართველ ხალხს პოლიტიკური ანდერძი დაუტოვა, რომელშიც გამოთქმულია მისი თვალსაზრისი საქართველოს განვითარებისა და მიმართულებების შესახებ, ანდერძი 10 პარაგრაფისგან შედგება.

„რევოლუცია არც თილისმბა, არც თვით მიზანი, რევოლუცია განვითარების ის საგანგებო და საფათერაკო მომენტებია, რომელსაც დიდი ტკივილები თან ახლავს... რევოლუცია თვითღირებულება და თვითმიზანი კი არ არის, არამედ სამწუხარო აუცილებლობაა, მოქალაქე რომელსაც ჰგონია, რომ სრულად უმტკივნეულოთ, ურევოლუციებოთ შეიძლება საზოგადოების განვითარება, რა თქმა უნდა, შემდეგად არა, ან თავს იტყვილებს...“ (ნაციონალიზმი და რევოლუცია).

„ძლიერ ხშირია, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, სიტყვა ორიენტაცია ხმარება. ვისი ორიენტაცია უნდა ქონდეს ქართველ ხალხს? ... როგორი ორიენტაცია - კულტურული თუ პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო, დროებითი თუ სამუდამო? პასუხი - ქართველ ხალხს აქვს და უნდა ქონდეს სრულიად მტკიცე და უკუნიით უკუნისამდე ერთი პოლიტიკური ორიენტაცია...“ (ორიენტაცია).

„ერის და განსაკუთრებით მცირე ერის მდგომარეობა და მომავალი მამინ არის მტკიცე და იმედინი ყოველგვარი ისტორიული ქართველების დროს, თუ ის დაყრდნობილია საკმაოდ მტკიცე სოფელზე, საკუთარ პურზე, ხორცსა და რძის პროდუქტებზე. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ღერძად უნდა გადაიქცეს რაციონალური მეშინდერეობა და მესაქონლეობა. სხვა დარგებს, მათს პროდუქციას დამატებითი მნიშვნელობა ექნება. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია ჩვენ ჯანსაღი და უფათერაკოთ ვატაროთ პანია საქართველოში, ქართველი ერის ხომალდი ვეებერთელა და ბობოქარ კაცობრიობის ოკეანეში“ (საქართველოს ეკონომიკა).

ჩვენი ეროვნული ნაპოვნებანი

„ბეჯითად უნდა გვახსოვდეს ჩვენი სუსტი მხარეები, რათა მათთანაც განუწყვეტელი ბრძოლა ვანარმოვოთ. ქართველი ბუნებრივი ნიჭით უხვათაა დაჯილდოებული და ადვილად, თითქოს ამ კარგს თან ახლავს ცუდი სარჩულიც - ჩვენი გონებით მოვიზარმატებთ; ადვილად, თითქოს ერთი თვალის გადაკვრით ვითვისებთ და ამიტომ სიღრმეს არ მივხედვით, გონებრივ ნებისყოფას არ ვჭიკმავთ; თითქოს მეტწილად ტალანტიური დელიტანტობა და



ერთგვარი ზერელობა ჩვენი დამახასიათებელია. ცალკეობა სპეციალისტობას თითქოს ცხვირს ვუბზუებთ. გვეადვილება სინტეზი და გავზოგადება, ანალიტიკური კირკიმალი და წერილმანობა არ გვიყვარს... ჩვენი ინდუქცია უკუდაო. ჩვენი ემპირიზმი სულნასული და ნაჩქარევი... აღმოსავლურად გვიყვარს ლიპერბოლები და გვემარჯვება დიდი მასშტაბები; სანტიმეტრებითა და მილიმეტრებით, გრამებითა და გრანებით ზომვა-წონა არ გვეხერხება. საერთოთ, ჩოთქისა და ანგარიშის ცოდნა და პედანტური ღწურობა არ არის ჩვენი დამახასიათებელი. თითქოს ნამეტანი თბომატარებელ მასალისგან ვართ ნაკეთები: ძალე ვთბებთ, სწრაფათ ვხურვებით, ჩქარა აღვივზებით, მაგრამ ასევე სწრაფათ ვგრილდებით... კახურზე მალე გრძობა ვვატობს, ადვილად მივენდობთ და მივინდობთ... ვართ გადაჭარბებული ოპტიმისტები, მაგრამ იმავე დროს ისეთი გულდაკოდილი და ღრმა ტირილი და გლოვა ვიციო, რომელიც ძალზე გვარღვევს და გვაუძღურებს. ჭირი და ლხინი, ქეიფი და ტირილი, ნაღველი და იუმორი, კრიმანჭული, ზარი და ბრძოლის პანგი - აი, რა არის თითქოს ჩვენი ცხოვრების უმთავრესი დამახასიათებელი... თითქოს შრომა, შრომა ყოველდღიური და პროზაული, იშვიათი და სასხვათაშორისო რამ იყვეს, გვიყვარს ექსპრომტი და იმპროვიზაცია, იოლი პარტიზანობა და მჩატე გაჯირითება ყოველგვარ ასპარეზეზე. გვაკლია ბეჯითობა, დაყინება, მუყაითობა, ფოლადი ნებისყოფაში... აუარებელი დადებითი თვისებებით არის დაჯილდოებული ჩვენი ეროვნული ჯიში და ჯილაგი, მაგრამ აქ დადებითი მხარეების ჩამოთვლა არ არის საჭირო. თვით ყველა ის ნაკლი, რომელიც ზევით ჩამოვთვალეთ, არის ზედმეტი განვითარება, ე.წ. ლიპერტროფია, ზოგ ჩვენ დადებით თვისებებსა. საჭიროა საკუთარი ნაკლი მუდამ გვახსოვდეს, რათა მას მუდამ ვებრძოდეთ“ (ამონარიდი „პოლიტიკური ანდერძიდან“).

სამოჯახო ანდერძი

„...თუ ვინცობა ველიროსო სამშობლო მინის გულში ჩასვენებას, მე ავირჩევდი დაველულოყავი არა იქ, სადაც მე დავიბადე, არცა საქართველოს დედაქალაქში ჩვენს ძვირფასსა და საწუკარ თბილისში, არამედ იმ მხარეში, სადაც დაბადა და დაირწა ქართველი ხალხის კულტურის აკვანი, სადაც მისი წინაპრები დაიბადნენ; სახელმძღვანელო, დიდ ისტორიულ მესხეთის რომელიმე ნაწილში, სადაც მე გადავსახლდებოდი, რომ საერთოდ ამის შესაძლებლობა მქონოდა. ჩვენი გვარეულობა ჩემო ძვირფასო შვილებო, იქედანაა, იქედნასაც ცხოვრობენ ჩვენი გვარის კაცები, ისინი ისლამის რჯულზე არიან ძველ დროს იძულებით გადანათლულნი, მაგრამ მაინც ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლი და ხორცი არიან... თუ საერთოდ შესაძლებელი იქნება ჩემი წასვენება სამშობლოში, დამფალით დაახლოებით სადმე იმავე მხარეში, ახალციხის, ან მის რაიონში იმავე ბენარაში...“ (1929 წ. 9 იანვარი, სუზდალის სამონასტრო საპყრობილე).

სამწუხაროდ, არავინ იცის, სად არის მამის საფლავი... მამა გაქრა ისევე, როგორც სხვა ათასები, 1936-37 წლებში უგზო-უკვლოდ რომ იკარგებოდნენ. ჩემი განვლილი ცხოვრების მანძილზე ბევრი რამის გაკეთება ვერ მოვახერხე, თუმცა ვფიქრობ, ღვთისა და ჩემი თანამოაზრეების შეწევნით, მრავალი მაინც გაკეთებულია - გრიგოლ ლორთქიფანიძის სახელი ადღეინილია, მისი ნაშრომების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია და მისი არქივი დაბინავებული (არქივი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში). და თუ ღმერთი ინებებს და ხელისუფლებაც დაინტერესდება, იქნებ იმ დღესაც მოვესწრო, როცა გრიგოლ ლორთქიფანიძის მშობლიურ სოფელ ისრითში, ვანის რაიონში, მისი სახლ-მუზეუმი გაიხსნება. ეს იქნება გრიგოლ ლორთქიფანიძის სახელის უკვდავყოფა და კეთილგონიერებისა და სიკეთის ნიშნები მომავალი თაობებისათვის.

# ვაჟა-ფშაველას თეატრული საღამო

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირისა და თბილისის 24-ე საჯარო სკოლის ორგანიზებით, 12 იანვარს ვაჟა-ფშაველას 150 წლის იუბილესადმი მიძღვნილი თეატრული საღამო გაიმართა – „სოციალური სამართლიანობის იდეა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“.

საღამო შედგა ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა თეატრალურ ცენტრში. ღონისძიების დაწყებამდე, დარბაზში შეკრებილი საზოგადოება ფშაველას მემკვიდრეების მემკვიდრე დალოცა და ვაჟას ლექსიც წაიკითხა.

საღამოს მონაწილეებს მიესალმნენ – პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე **ეთერ მათურელი** და პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი **მაია კობახიძე**.

სოციალური სამართლიანობის თემაზე ქალბატონმა მაია კობახიძემ ძალიან საინტერესო პარალელები გაავლო ვაჟას მოღვაწეობის პერიოდსა და თანამედროვე საქართველოს მასწავლებელთა მდგომარეობას შორის. წარმოაჩინა ის სამწინხარო რეალობა, რა სოციალური უსამართლობაც არსებობს ხელისუფლების მხრიდან მასწავლებლების მიმართ, თუნდაც ერთი იმ კონკრეტული მაგალითის საფუძველზე, რაც დაკავშირებულია დირექტორების მიერ მასწავლებლებისათვის გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაუქმებასა და მოკლევადიანი კონტრაქტების გაფორმებასთან.

თემატურ საღამოზე მოხსენებები წარმოადგინეს: **ლალი დათაშვილი-მა** (საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი), **ლია კარიჭაშვილი** (შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი), **თამარ ლომიტაშვილი** (192-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი) და **თამარ ბარი-საშვილი** (24-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, სპმთპ-ს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე). მათ სხვადასხვა კონტექსტში გააანალიზეს სოციალური სამართლიანობის თემა ვაჟას ცხოვრებასა და შემოქმედებაში და საზოგადოებას კიდევ ერთხელ ნათლად დაანახეს სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ კალმითა და საქმით მებრძოლი მასწავლებელი ლუკა რაზიკაშვილი, ბუმბერაზი კლასიკოსი ვაჟა-ფშაველა.



ნიშნდობლივია, რომ ვაჟასადმი მიძღვნილ საღამოს, პედაგოგიურ საზოგადოებასთან ერთად, ესწრებოდნენ მწერლები, ლიტერატორები, მკვლევარები, ვაჟა-ფშაველას შთამომავლები, რომლებმაც კმაყოფილება ვერ დაფარეს აღნიშნული ღონისძიების გამართვის გამო და მადლიერება გამოხატეს ორგანიზატორების მიმართ.

ნათო გუგულაძე  
სპმთპ-ს პრესსამსახური

# სოციალური სამართლიანობის იდეა ვაჟას შემოქმედებაში

ნუ ჩამითვლით კანდიდებად, მე, როგორც მათემატიკოსმა, თავს უფლება მივცე, დღევანდელ თემატურ საღამოზე მოგახსენოთ ჩემი რამდენიმე მოსაზრება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებასთან დაკავშირებით.

ბუნებრივია, განხილვა კითხვა, რატომ ავირჩიეთ პროფკავშირებმა განსახილველად სოციალური სამართლიანობის იდეა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ან რა საერთო აქვს მას პროფკავშირულ საქმიანობასა და დღევანდელ რეალობასთან.

ვაჟა-ფშაველას რთული მსოფლმხედველობა საბოლოო ჯამში მამულიშვილობით, მშობლიური ერისა და ქვეყნის სიყვარულით იყო განპირობებული. თუ მის შეხედულებებს ბუნებასა და საზოგადოებრივ მოვლენებზე ერთ საერთო მნიშვნელზე დავიყვანთ, შეიძლება ვთქვათ, რომ მისი ქვაკუთხედიანი ზოგადსაკაცობრიო იდეალები – სამართლიანობა და თავისუფლება. ერის თავისუფლება და პიროვნების თავისუფლება – აი, ორი დიდი მიზანი, რომლის მისაღწევადაც საჭიროა ბრძოლა. ეს თვალსაზრისი ნათელ ზოლად გასდევს ვაჟა-ფშაველას მთელ შემოქმედებას. მისი მშფოთვარე, მბორგავი, აჯანყებული სული ცხოვრებაშიც ვერ ურიგდებოდა სოციალურ უსამართლობას.

ვაჟას შემოქმედების ძირითადი ლეიტმოტივი ზნეობრივი პრინციპების დაცვაა. ზნეობა მარადიული ღირებულებაა. ის არასოდეს იცვლება და დღესაც ისეთივე აუცილებელია ადამიანისათვის, როგორც ათასწლეულების წინ. საზოგადოება თავის წევრს ძირითადად მხოლოდ მორალური, ზნეობრივი თვალსაზრისით აფასებს – „კაცი, ბეჩაეის მჩაგვრელი, სად გაკონილა გმირი“. და თუ გავაულებთ პარალელებს პოეტის ნააზრევსა და დღევანდელობას შორის, დამეთანხმებით, მათ შორის უფსკრული ღრმაა და დიდი. და ეს ხდება ერთი საუკუნის შემდეგ, როდესაც ვაჟა-ფშაველა პიროვნულ თავისუფლებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. დროა, დავუბრუნდეთ ჩვენს ფესვებს. პირველ რიგში, – ჩვენი ბუმბერაზი პოეტის ფილოსოფიას და თითოეულმა ჩვენგანმა გადავდგათ

მკვეთი ნაბიჯები პიროვნული თავისუფლების აღდგენისათვის. დავესხსებები ისევ ვაჟას პოეზიას: „როცა გულს ცეცხლი მედება, გონება მსჯელობს საღადა, მაშინ ვარ თავისუფალი, თავს მაშინ ვგრძნობ ლაღადა“.

როდესაც ვემზადებოდი თქვენთან შეხვედრისათვის, კიდევ ერთხელ შევეცადე, ჩავნვდომოდი ვაჟას შემოქმედების სიღრმეს და მასშტაბებს. ჩემთვის აღმოჩენა იყო ვაჟა-ფშაველას წერილები იმდროინდელ პერიოდიკაში: „თიანეთური ფელეტონი“, „ფიქრები“, „შაგბნელი ამბები“, „რა არის თავისუფლება“, „რას ჰქვია თავისუფლება“ და სხვა, სადაც განზოგადებულია სახელმწიფო, ადმინისტრაციული, სასამართლო ორგანოების მუშაობის ფაქტები, განალიზებულია ცალკეული საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული აქტის ანტი-საზოგადოებრივი ხასიათი. „საკვირველი ის არის, რომ ცირკულიარები კარგი გამოდის, კითხვობ და ცოტაოდნავ ნელულზე მალამო გედება, ვინაიდან ურჩევს იგი და აფრთხილებს მოხელეებს, ფრთხილად მოიქციეთ, საქმის გაურჩევლად ნუ იჭერთ, ნუ სჯითო და სხვა. ...კარგი და პატიოსანი, ...მაგრამ ის ველარ კარგია, რომ ცირკულიარის ხმა მხოლოდ ქალაქზე გაისმის და ცხოვრებაში იმის ნატამალიც არ მოიპოვება“ – ამბობს გენიალური პოეტი.

დამეთანხმებით, ვაჟასეულ შეფასებასა და დღევანდელ მდგომარეობას შორის, მე პირადად, დიდი განსხვავება ვერ აღმოვაჩინე. საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და საერთაშორისო ნორმებით, განსაზღვრულია ჩვენი ორგანიზაციის უფლება-მოვალეობები. კანონით მონიჭებულ უფლებებს ვერ ვახორციელებთ ეფექტურად, რის შედეგადაც ირღვევა პედაგოგთა შრომითი და სოციალური უფლებები. ჩვენი ვაჟა-ფშაველას, რატომ მიდიან ზოგიერთი დამსაქმებელი სახელმწიფოს პოლიტიკის წინააღმდეგ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის და მთავრობის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება დასაქმება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის აუცილებლო-



ბა, სკოლებიდან ათავისუფლებენ მცირესაათიან მასწავლებლებს, იკარგება უამრავი სამუშაო ადგილი. როგორც ვაჟა იტყობა: „დიახ, სიტყვა სხვაა, საქმე სხვა და შუა უზარმაზარი ჯურღმულია. არა, ტყუილად ვინმე მოელის ნდობის მოპოვებას იმ დრომდე, ვიდრე სიტყვასა და საქმეს შორის არ დამყარდება სრული თანხმობა, ვიდრე ადმინისტრაციის მოქმედება არ იქნება მიმართული ქვეყნის, ხალხის საკეთილდღეოდ“.

გენიოსების ნააზრევი დროში და სივრცეში არ ეტევა და მასზე დაყრდნობით უნდა გააქტიურდეს თითოეული ჩვენგანი, ჩვენი კანონიერი უფლებების აღსადგენად.

მაია კობახიძე  
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი

# ვაჟა – ზნეობის საქართველოსთვის მებრძოლი მასწავლებელი

„ყველაზე დიდი ძალა, რომელიც პროგრესს წარმართავს განათლებაა... განათლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გვაძლევს პრინციპულ შედეგებს, თუ მას ფართო გამოყენება აქვს და არ არის შეზღუდული ადამიანთა ვიწრო სფეროთი“, – ასე ფიქრობს ვაჟა განათლებასა და განათლებულ ადამიანთა საჭიროებაზე.

თუ პოეტის ცხოვრების გზას მივყვებით, მან ოფიციალურ თანამდებობაზე მხოლოდ მასწავლებლად იღვანა: ჯერ ამტნის-ხევის ერთწლიან სკოლაში, სადაც მხოლოდ ექვსი თვე დაჰყო, შემდეგ დიდი ფეოდალის – კოტე ამილახვრის ოჯახში შინამასწავლებლად და ბოლოს – დიდ თონეთში (2 წლის ვადით).

ვაჟას ბარიდან „გაქცევას“ (ასე ვიტყვოდი, რადგან თავისი სურვილით არ დაუტოვებია საქმე) და საბოლოოდ ჩარგალში დასახლებას, რაც 1888 წელს მოხდა, რთული სოციალური და ფსიქოლოგიური მიზეზები აქვს კერძოდ:

1882 წლის 1 ივლისს, გორის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიის წარმატებით დამთავრების შემდეგ, ლუკა რაზიკაშვილი თიანეთის მაზრაში ტოლათსოფელს ეწვევა მასწავლებლად. მან პედაგოგიური საქმიანობა ერთწლიან სკოლაში დაიწყო. იქ, სადაც ხევსურები, გუდამაყრელები, ფშაველები სწავლობდნენ. რაინდული სულის, კეთილი და ღირსეული ადამიანი აქ არა მხოლოდ სკოლის თანამშრომელია, მკვიდრთა ქომაგიც, სოფლის მაცხოვრებელია უფლებათა დამცველი, დაჩაგრულთა შემწე. უნა შეიძლება „პატარა მწყემსის ფიქრების“ ავტორი გულისხმიერი არ ყოფილიყო, ვაჟაკაციური ცხოვრებით არ ეცხოვრა? ვაჟა, თავის სიმართლეში დარწმუნებული, უკან არასდროს იხევდა.

სწორედ ამიტომ ვაჟას მწვავე კონფლიქტი მოუხდა სკოლის გამგესთან, მღვდელ აღნიშვილთან, რომელმაც ვაჟა დაასმინა და ეს გახდა საფუძველი ლუკა რაზიკაშვილის სამ-

სახურიდან გაათავისუფლებისა (1883 წლის 29 აპრილს), თუმც ფაქტი, რომ დაბეზღებას მოჰყვა სკოლის მოულოდნელი რევიზია და ვაჟამ რევიზორი არ შეუშვა, ფაქტად რჩება.

ვაჟასთვის საზოგადოებრივი მოღვაწეობა გამოცხადებულია ადამიანის უწმინდეს მოვალეობად. ის მასწავლებლობის ძირითად, არსებით მიზანს ასე ხედავს: „მასწავლებელთა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ბნელ მასებში განათლება შეიტანონ, უკეთესი ცხოვრებისათვის მოამზადონ, განუვითარონ არა მარტო გონება, არამედ შეგნებაც, მიიყვანონ ისინი გაგებამდე, თუ რა არის სასარგებლო და რა არის საზიანო...“

მაგრამ ყველაზე უმთავრესია, რომ მათ ახალგაზრდა თაობაში აღზარდონ საზოგადოებრივი გრძნობა, საზოგადოებრივი მორალი“.

კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ვაჟას ბუნების კეთილშობილური სიამაყე, მის მიერ ქე-

დის მოუხრელობა ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე, როცა ამილახვრის ოჯახში მან სილა გაანა თავის ჯიუტ და გაუგონარ მონაფესს, შემდგომ ცნობილ გულზვიად და ქედმაღალ ფეოდალს – გიორგის.

იქნებ მაშინ პირველად ჩაფიქრდა ოჯახის განუზომელ როლზე ყრმის პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში. ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში წერს: „პირველი აღზრდა ოჯახიდან იწყობა, იმას სკოლაზე მეტი მნიშვნელობა აქვს“. ვაჟასთვის მიუღებელია ოჯახი, რომელიც „დღეს დუქანს დაჰმსგავსებია, რომელსაც მხოლოდ „ანგარიში“, „ხეირი“, უხეიროდ გაგებული აღონებს და აწუხებს. მოვალეობა, მოქალაქეობრივი გრძნობა ჩვარში გახვეული ნავისათვის გაუტანებია. შვილებს მხოლოდ იმიტომ ზრდის, რომ სამ-



სახურში შევიდნენ, კაი ჯამაგირი მიიღონ, ზიზილ-პიპლოებით დაიმშვენონ შუბლი და მხარ-მკერდი“.

„ჩვენებს ვერ შეუგნიათ, რომ ოჯახია თავი და თავი საფუძველი, საძირკველი ერისა და სახელმწიფოს ყოფა-მდგომარეობისა. ვერ შეუგნიათ, რომ თუ ოჯახი ნახდა, მაშინ სკოლა-ც ნამხდარია, უძღური, ძალ-ლონე გამო-ლეული; გონივრულად მონყობის ოჯახს შეუძლია ვენება სკოლის გააბათილოს“.

ნიმანდობლივია, 1886 წლის 16 ოქტომბერს, ვაჟა განგებლისად უკვე მესამედ იწყებს მასწავლებლად მუშაობას. ამჯერად სოფელ დიდ თონეთში, სადაც სერიოზულ წარმატებებსაც აღწევს, თუმცა სხვადასხვა ჯურის მოხელეებთან, რელიგიის მსახურებან ვერ რიგდება. მას ინტრიგებს უწყობენ: მამასახლისმა სკოლის საქმეებში ჩარევა სცადა, ლუკა აფეთქდა, კიბიდან დაუშვა სკოლაში მისული მამასახლისი. ვაჟამ იცის, რომ „სიმართლის სიკვარვეზე ერთი სხვას შეეცილება“ და რომ გამოაფხიზლოს შემინებული საზოგადოება, ის მარჯვენის მოქმედებას არ ერიდება.

ინტრიგებით დაღლილი სამართლის მაძიებელი მასწავლებელი ხსნას ქართველთა შორის წიგნის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობიდან ელის, მათ არაერთგზის მიმართავს მოხსენებითი ბარათით, თუმცა უშედეგოდ – პასუხის ღირსიც ვერ გახდა, უყურადღებობით განხილული ვაჟა საბოლოოდ იაკობ გოგებაშვილის სახელზე გზავნის მოხსენებას: „ჩემს მოხსენებას ვგზავნი ბატონი იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილის სახელობაზე და ვითხოვ, ნაკითხულ იქნას გამგეობის სხდომაზე“.

გამგეობის წევრთა შორის გავრცელებულია ჩემზედ უცხო და არასასიამოვნო ამბები: ა) ვითომ არაფერი მესწავლებინოს მოსწავლეთათვის, ბ) მქონდეს დიდი განხეთქილება თონეთის საზოგადოებასთან. რადგანაც ეს მართალი არაა, ამიტომ საჭიროდ ვრაცხ, გამოვუცხადო პატივცემული გამგეობას, რომ დანიშნოს კომისია საქმის გასარკვევად.

თუ პირობა, რომელსაც მე ვუსახავ გამგეობას თავის გასამართლებლად, ე.ი. კომისიის დანიშვნა, ასრულებული არ იქნება, მაშინ მე მეცადინებ, დავრწმუნდები, რომ გამგეობას ორის წლით დაუნიშნვიარ მასწავლებლად, ვადა ვავიდა და უნდა ავიბარგო, რასაც ამბობენ და რასაც ფიქრობენ ისინი, უნდა გაიყილოს ჭეშმარიტებისა და სიმართლის ფასად“.

გამგეობის გადანაცვლებით, 1888 წლის 11 ივნისს, ვაჟა მასწავლებლის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. აღსანიშნავია, რომ



გამგეობამ უყურადღებოდ დატოვა სოფლისა და თვით ვაჟას თხოვნა მასწავლებლად დატოვების თაობაზე, იმ მიზეზით, ვითომ ვაჟას სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

გულმოკლეული პოეტი, 1889 წელს, სასამართლოში წერს: „...ჩვენი ბეჩავე სკოლები, ბეჩავეს გზაზე დაყენებულები, რა თანხასაც აძლევენ მონაფეთ სწავლა-განათლებისას, კარგად იცი, თვით მომზადებაც მასწავლებლისა თვის თანამდებობისათვის გეცოდინებათ... ამას დაუმატე ახლა „დანოსები“, რომელსაც სწერს მასწავლებლის შესახებ მთავრობას მასწავლებელზე უყურჩი, სკოლის მზრუნველად დაყენებული: ნათლად წარმოგიდგება სურათი ჩვენი ხალხის განათლები-სა“.

მასწავლებლის ბედზე ვაჟას მრავალჯერ დაუკენესია, პირადადაც გამოუცვლია სიმწარე ღირსების შელახვისა. მასწავლებელი რომ არ ფასობს ჩვენში, არც ესაა მისთვის უცხო და მაინც სჯერა, ხსნა ერისა და ქვეყნისა მასწავლებელთა ხელშია.

ზნობრივ-მოქალაქეობრივი აღზრდა ვაჟას პედაგოგიური საქმიანობის წარმმართველია:

„არც ის მგონია ბიჭობა, ვისაც ერევი ახჩობდე, ბიჭს მაშინ დაგიძახებენ, რომ სხვის დამმრჩვალსა სწამლობდე!“

ვაჟას ხელმოკლეობა, სიდუხჭირე არასდროს გამხდარა საბაბი მისი ცხოვრების წესის შეცვლისა. ღარიბული არსებობის მთავარი წყარო – რედაქციის მიერ გაცემული მცირე პირობები (10-15 მანეთიდან 20-25 მანეთამდე) უზრუნველყოფდა შეძლებისდაგვარად მის ოჯახს, მაგრამ მას სული ხორცისთვის არ გაუწირავს, სწამდა „სული გასუქდეს, ბევრით სჯობს, ვიდრე გასუქდეს ლეშა“.

არა მხოლოდ საგაკვეთილო პროცესების წარმატებით წარმართვა, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართვა და მონაწილეობა – აი, ეს არის ვაჟას, როგორც მას-

წავლებლის, გამორჩეული თვისება! პიროვნული ღირსების დაცვა ვაჟას ცხოვრებისა და შემოქმედების კრედაა. მან იცის, რომ „აზრის და სიმართლისათვის მხოლოდ ვაჟაკაცი კვდება“.

ვაჟა ზნეობის მასწავლებელია, ზნეობის საქართველოსთვის მებრძოლი.

არაერთხელ მიფიქრია, რომელი საბუთი, სიგელი თუ სერტიფიკატი მასწავლებლობის დამმონებელი თუ წარმატების ხარისხის დამადასტურებელი გადანონის ვაჟას, როგორც მასწავლებლის, განვლილ გზას, დრომ პასუხი გასცა კაცუნა-არაკაცებს, რომლებიც პირადად მას უსიამოვნებას აყენებდნენ, ქართულ სკოლას კი ძირს უთხრიდნენ.

უსამართლობას ვაჟა უფლის შეწევნით ამარცხებს, სულით ძლიერი მადლიერია ღვთის:

„დიდება უფალს, რომ კვლავ მომცა ძალა ღვთიურის აღმადრენისა, რომ სიმწიფის ტვირთს ქვეშ არ მოვკვდი, კვლავ შემიძლიან დაძვრა ენისა, და უხმარ საგ ზღად საფლავს არ მიმდევს მწარე ნაღველი გულის კბენისა...“

დიდება უფალს, რაკი შევქელ კვლავ სამსახური ჩვენი ერისა! დაჩაგრულის გამოსარჩლება, გაათახსირება იმის მტერისა.“

ვაჟა ნუგეშობს იმით, რომ მართალია ერი-სა და ბერის წინაშე: „მინას მინურად და ცას ციურად მივე თავაზი, არ მიბობღნია დაბლა ქვემძრომად, მაღლა დაფვრინავ როგორც ვაგაზი...“

„მე არ ვუთხარე მოძმეთა ორმო, მთხრელი შეგმურე კუპრით და ლაფით, არვის ვაგტაცე მე ლუკმა-პური, სხვასაც ვაგუყავ ნამოგენი ქაფით, და სიყვარული ჩემს თანამოძმეთ ვაუწყე მედგრად ნალარით, დაფით!“

ვაჟას, როგორც მასწავლებლის მიერ გავლებული ხნული იმდენად ღრმად და ნამუსიანი, „რომ დღეს, მოქმედ მასწავლებლობას უფლება არ გვაქვს ჩვენ, ჩვენ წილ ლელო სიმართლითა და ღირსებით არ ვაგიტანოთ!“

თამარ პარისაშვილი  
თბილისის 24-ე საჯარო სკოლის  
ქართული ენისა და დიქტირატურის  
მასწავლებელი

## ტოლერანტობის საკითხისათვის ვაჟა-ფხაველას შემოქმედებაში

ტერმინი ტოლერანტობა XVII საუკუნიდან ჩნდება. იგი აღნიშნავს ორგანიზმის უნარს, შეეგუოს ამა თუ იმ არახელსაყრელ გარემო-ფაქტორს. გადატანითი მნიშვნელობით კი, როგორც მას იყენებენ ფილოსოფიური, სოციოლოგიური თუ ლიტერატურათმცოდნეობითი სემანტიკით, გულისხმობს სხვის აზრთან, რწმენასთან, იდეებთან და ქცევებთან შეგუებას.

ტოლერანტობის ქართული შესატყვისია შემწყნარებლობა, შემწყნარებლობის საფუძველი კაცთმოყვარეობაა. ეს თვისებები ქართველი ერისთვის ბუნებრივია და, შესაბამისად, კაცთმოყვარეობა და შემწყნარებლობა ქართული მწერლობის ერთ-ერთ ძირითად თემად იქცა. არაერთი პოეტური ნიმუში სწორედ ამ ნიშნით შეირაცხა შედევრად. მათ შორის, პირველყოფისა, ვაჟა-ფხაველას შემოქმედება და პუბლიცისტური წერილები მოიაზრება „გიყვარდეს მტერი შენი“ – ქრისტიანული მოძღვრების ეს ძირითადი თეზა და მცნება უფლისა თავად გულისხმობს უდიდეს ჰუმანიზმს და კაცობრიობის განვითარების ის ორიენტორია, რომლისკენაც ლიტერატურა, ხელოვნება და, ზოგადად, კულტურა უნდა უბიძგებდეს ადამიანს.

შემწყნარებლობა და სიყვარულია სწორედ ის ძალა, რომელსაც შეუძლია მტერი მეგობრად აქციოს. ვაჟასთვის მტრის ცნება უპირველესად სამშობლოს მოცილეს გულისხმობს, რომელსაც მტრულად უნდა მოექცე. პიროვნულ ურთიერთობათა დონეზე კი მტრის ხატი ხშირად იმსხვერვა, როგორც ეს მოხდა ალუდასა და მუცალის, ჯოყოლასა და ზვიადურის შემთხვევებში. ჯოყოლას მხატვრული სახის პირველი მტრისი სისხლისმაძიებლობაა. მისი სახელისა და ვინაობის გაგებაამდე მკითხველი იმას შეიტყობს, რომ „ძმის მკვლელის სისხლი სწყურია, კაცი რომ მოდის

გზაზედა“. მტრის სახე წარმოსახვითია, რელიურად მას ჯოყოლა არ იცნობს. და, აი, მის წინაშე E დგას ზვიადური, შეფარული ვინაობით, მაგრამ მთელი თავისი პიროვნული ხიბლით, სილალით, ვაჟაკობით, მიმდობლობით. ასეთი მიიღო ჯოყოლამ, ასეთად აღიქვა იგი. სტუმრის ნამდვილი ვინაობის შეტყობის შემდეგ, მიუხედავად ღრმა გულისტკივილისა, ჯოყოლას ცნობიერებაში ზვიადურის იდენტიფიკაცია ძმის მკვლელთან და მოსის-ხელესთან ვეღარ მოხდა. რელიური პიროვნება წარმოსახული მტრის ხატთან ვერ გაიგივდა. ამიტომაც იმ კონკრეტულ ვითარებაში ჯოყოლასათვის დაკარგა ძალა სისხლის ალები ადათმა და იგი სტუმარმასპინძლობის წმინდა წესის დაცვას შეეწია. აქ შეწყვეტილი საიუბარი კი სანუთროს მიღმა გრძელდება: „ვაჟაკაცობისას ამბობენ, ერთურთის დანდობისა“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯოყოლას სიტყვები მეუღლისადმი – „იტირე, მადლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა“ – პირველყოფისა, პიროვნული ავტონომიის აღიარება და პატივისცემაა.

თუ ჯოყოლა და ზვიადური ხედებიან, როგორც მოყვარენი და პოტენციურად არსებობს პერსპექტივა, მათი ურთიერთობა გაღიზარდოს მტრობაში, ალუდა და მუცალი ხედებიან როგორც მტრები და მათი ურთიერთობა გადაიზრდება სულიერ სიახლოვეში. ორივემან ძლეულია მტრობა და სიძულვილი და ორივე შემთხვევაში ეს განაპირობა პიროვნების ფაქტორმა.

ვაჟას პოემებში თვალსაჩინოა შეხვედრა-გაცნობათა ის მოდელი, რომელიც მოქმედებს „ვეფხისტყაოსანში“. ეს არის ავთანდილისა და ტარიელის, ტარიელისა და ფრიდონის, ავთანდილისა და ფრიდონის გაცნობის ეპიზოდები. მათი შეხვედრები აღბეჭდილია

მეცხეული ურთიერთშემცნებით, ურთიერთღირსებათა აღიარებით და აქვე იბადება სიყვარულიც. ეს ხდება მაშინ, როდესაც თანაბარი რანგის პიროვნებანი ხვდებიან ერთმანეთს. მათი საერთო ენა ვაჟაკობისა და ღირსების ენაა და მის წინაშე ფერმკრთალდება ეთნიკური და რელიგიური სხვადასხვაობა.

რელიგიური ტოლერანტობა გულისხმობს პატივისცემას სხვისი აღმსარებლობისადმი და არავითარ შემთხვევაში აღრევას. ალუდა ქეთელაური მუცალის ვაჟაკობის აღიარების შემდეგ სხვანაირად უყურებს იმ ფაქტსაც, რომ ის მუსლიმანია. ერთგვარად იშლება რელიგიური ზღვარი მის ცნობიერებაში და სურვილი უჩნდება მისხვედრებში შეეწიოს მის სულს, როგორც შეუძლია, როგორც მას სწამს. ეს ფაქტი არ შეიძლება განიხილებოდეს თეოლოგიური თვალსაზრისით, რადგანაც, სრულიად განსაზღვრული მიზანი აქვს – აჩვენოს გმირის სწრაფვა, შემწეობის სურვილი და არა დაპირისპირება საკუთარ რჯულთან. ამ მხრივ არის ის რელიგიანტური და არა იმ ფუნქციით, რომლითაც ავტორს არ დაუტყვირთავს. ალუდამ დაინახა მუცალში „სხვა თვისი“. პირველად მუცალი აღიარებს ალუდას ღირსებას, როდესაც იარაღს მას უტოვებს. „ხელს არ ჩავარდეს მტრისასა“ – ეუბნება და ცხადი ხდება, რომ ნუთის წინ მტრები უკვე აღარ არიან მტრები, არამედ მტერი ახლა სულ სხვაა, უღირსი, უცხო, ვის-მაც ხელმაც მუცალის იარაღი არ უნდა შებღალოს.

ვაჟას რელიგიური მსოფლმხედველობა მთლიანობაში მოიაზრებს კაცობრიობას, რომელსაც აერთიანებს ცოდნა იმისა, რომ სამყაროს შემოქმედი ღმერთი ერთია, ხოლო ერთგვარი თეოფანია – სინდისის ხმა ადამიანში.

ვაჟას დიდებუნივანი პერსონაჟები ურთულეს სიტუაციებში საკუთარ გულისხმას უსმენენ და არც ცდებიან. მათი ორიენტორია ადამიანური შემწყნარებლობა და ჰუმანიზ-მია.

სამყაროს მთლიანობისა და ჰარმონიულობის იდეა, ასე რომ განმსჭვალავს ვაჟას შემოქმედებას სწორედ სიყვარულითაა განპირობებული:

„ხევი მთას მონებს, მთა – ხევისა, წყალნი ტყეს, ტყენი – მდინარეთ, ყვავილნი მიწას და მიწა – თავის აღზრდილთა მცინარეთ. და მე ხომ ყველას მონა ვარ, პირზე ოფლ-გადამდინარედ!“

„მე“ აქ, ცხადია, მხოლოდ ვაჟას პიროვნული მე არ არის, ის ზოგადადამიანურიცაა, ხოლო „მონობა“ სიყვარულის მონობაა, სიყვარულის ურთიერთდამოკიდებულება, როგორც „ვეფხისტყაოსანში“ „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანურთის მონება“.

„მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთა და უსულთ შორის“ – ბარათაშვილისეული ეს რწმენა ვაჟას შემოქმედების ბალავარია. თუ ეს ენა არ გესმის, მისი არსებობის მანიც უნდა გჯეროდეს. სხვა შემთხვევაში განყდება წრედი, დაირღვევა კავშირები, სამყაროს ჰარმონიულობას რომ განაპირობებს. სამყაროში კი არაფერი იკარგება, მით უმეტეს, მშვენიერება. შეიძლება სამად დაიშალოს ერთი: ვარსკვლავად-ბულბულ-ვარდად. ან მზეს, ბრონეულის ყვავილსა და მარიტას ჰქონდეთ რაღაც საერთო. ია ამოვიდეს, შელის უმანკო თვალგმა გაიეღვოს სიმწვანეში, ან, უბრალოდ, წვიმა ნამოვიდეს „სიკვდილის გამანბილადა“.

ლია პარისაშვილი  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

# პაციონტი ესი სიბერეს, ის უენი მომავალია

ფონდი „პარმონია და მშვიდობა“ და აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირი „მომავლის ხმა“, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, სამშვიდობო ინიციატივების ფარგლებში, კვლავაც აგრძელებენ საქველმოქმედო პროექტს – „პაციონტი ესი სიბერეს, ის უენი მომავალია“, რომლის ერთ-ერთი აქტივობა – საახალწლო შოუ კონცერტი „ვაჩუქოთ ერთმანეთს სიყვარული“ ჩატარდა საერთაშორისო ჰუმანიტარულ კავშირში „კათარზისი“ (კავშირის პრეზიდენტი – **ზაურ ალადაშვილი**) და თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში (დირექტორი – **ნინო დელიშვილი**).

პროექტი მიზნად ისახავდა საახალწლო განწყობის შექმნას სათნოების სახლებში მცხოვრებ მოხუცთა და სოციალურად დაუცველი ადამიანებისათვის; სხვადასხვა თაობების დამეგობრებასა და მათი შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას; ახალგაზრდობაში ხანდაზმული ადამიანებისადმი პატივისცემისა და ქველმოქმედების გრძნობის გაღვივებას. იმის სწორად შემეცნებას, რომ შეუძლიათ აჩუქონ ადამიანებს სიხარული და გაულამაზონ ცხოვრება; ძველ და ახალ თაობებს შორის კავშირის აღდგენასა და ნდობის ფაქტორის განმტკიცებას (ეს პროექტი წარმოადგენს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სამშვიდობო და სამოქალაქო განათლების სტრატეგიულ ნაწილს, რადგანაც განათლების საშუალებით მოზარდები სწავლობენ მშვიდობის კულტურას).

„ჩემო ძვირფასო და საყვარელო ადამიანებო! ჩვენ დღეს სიხარულით მოვედით თქვენთან, რომ მოგილოცოთ ახალი წლის დადგომა, გისურვოთ დიდი ხნის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, სიკეთე და დიდი სიყვარული. მოვედით, რომ სიმღერებითა და ცეკვებით გაგიხალისოთ სიცოცხლე, შეგიქმნათ საახალწლო განწყობილება, რომ ყველანი იმედიანად შევხვდეთ დამდეგ 2012 წელს. ძალიან გვინდ, ბედნიე-



რები იყოთ!“ – ასეთი თბილი და გულშიჩამწვდომი სიტყვებით დაიწყო საქველმოქმედო საღამო აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის – „მომავლის ხმა“ წევრებმა: **სალომე თავზარაშვილი** და **ანა ტაბატაძე**.

დარბაზში შეკრებილებს ახალი წელი მიულოცა მეკვლემ, **საბა მაისურაძემ**: „ძალიან გამიხარდა მეკვლეს როლი რომ მერგო. მე სოხუმელი ვარ და, პირველ რიგში, ყველას სოხუმში დაბრუნებას ვუსურვებ, მერე კი – ჯანმრთელობას და დიდი ხნის სიცოცხლეს.“

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **გია გვაზავამ** კათარზისელებს, ჯანმრთელობასთან ერთად, საქართველოს გამთლიანება უსურვა და ილორის წმინდა გიორგისა და მარიამ ღვთისმშობლის ხატები გადასცა საჩუქრად თავშესაფარში მცხოვრებ სოხუმელ ქალბატონებს – **დარეჯან ოჩიგავასა** და **იზოლდა გობეჯიშვილს**.

„ძალიან მიხარია, რომ აფხაზეთის დევნილი ახალგაზრდობა სისტემატურად ახორციელებს დღევანდელი ყოფისთვის ასე საჭირო და საინტერესო პროექტებს. მათ

ნამდვილად შეძლეს საახალწლო განწყობის შექმნა სათნოების სახლებში მცხოვრები მოხუცებისათვის და სოციალურად დაუცველი ადამიანებისათვის, რომელთა დიდი ნაწილი აფხაზეთიდანაა. ყველას ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდი ხნის სიცოცხლეს, მშვიდობასა და საქართველოს გამთლიანებას“ – აღნიშნა ბატონმა გიამ.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა **დალი ხომერიკმა** ასე მიმართა ბენეფიციარებს: „უპირველესად მადლობა მინდა გადავუხადო „კათარზისის“ და თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის ხელმძღვანელობას ჩვენი თანამემამულეებისადმი უანგარო დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, ჩვენი გულთბილი მასპინძლობისა და აღნიშნული პროექტის ერთობლივად წარმატებით განხორციელებისათვის. აქცია არ არის ერთჯერადი.“

ჩვენ შევადგინეთ მორიგეობის გრაფიკი საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირის „კათარზისი“ და თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის მხარდასაჭერად. განრიგის მიხედვით, გათვალისწინებულ დღე-

ებში, ხანდაზმულ ადამიანებს მოემსახურებიან აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, ფონდ „პარმონია და მშვიდობის“ და აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმა“ წარმომადგენლები. მომავალში გათვალისწინებული გვაქვს სხვა საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს თაობების ურთიერთდაახლოებას, დამეგობრებას და აქტიურ თანამშრომლობას.“

„კათარზისის“ პრეზიდენტის მოადგილე **გულიკო რომანიშვილი**: „ჩვენ გვინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ამ შესანიშნავი პროექტის ორგანიზატორებს, რომლებმაც, დევნილობის მიუხედავად, შეძლეს უმწეო ადამიანების გვერდში დადგომა. სხვებსაც მოვუწოდებთ, მეტი ყურადღება გამოიჩინონ მზრუნველობა მოკლებული ადამიანებისადმი.“

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს: ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „აფხაზეთი“, თანამედროვე სამეჯლისო ცეკვების ანსამბლმა „გაზაფხული“, აფხაზეთის №2 სახელოვნებო სკოლის ხალხურ საკ-

რავთა ჯგუფმა, ნორჩმა ტანმოვარჯიშებმა – **ეკა** და **ელენე თორიებმა**.

**ირინა ბეგალიშვილი**, ანსამბლის წევრი: „უამრავ კონცერტსა და ფესტივალში მიგვიღია მონაწილეობა, მაგრამ „კათარზისისა“ და „თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში“ ჩატარებული საქველმოქმედო დღესასწაულები ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც ჩვენი ბებიები და ბაბუები მხოლოდ მაყურებლები კი არ იყვნენ, არამედ ჩვენთან ერთად შესანიშნავად ცეკვავდნენ „ვალსს“, „ჩაჩაჩას“, „როკ-ნ-როლს“, „ქართულს“, „აჭარულს“ და სხვა თანამედროვე და ქართულ ცეკვებს. ჩვენ შევძელით ნამდვილი დღესასწაული მოგვეწყო მათთვის, რაც ძალიან გვიხარია.“

სხვადასხვა ჟანრის სიმღერები შეასრულეს აფხაზეთიდან დევნილმა შემოქმედმა მოზარდებმა: **გიორგი ვარდანამ**, **სალომე თავზარაშვილი**, **ხატია ხომერიკი**, **სალომე მარკოზაშვილი**, **რეზი დიდუბაშვილი**, **ლენკა ზვინაძე**; ანსამბლმა „ინანამ“. „ამ საქველმოქმედო პროექტში მონაწილეობა ჩვენთვის დიდი პატივია, რადგანაც უფროსი თაობის პატივისცემა და მათზე ზრუნვა ყველა ადამიანის უპირველესი მოვალეობაა. ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ მათი საყვარელი სიმღერების შესრულებით შევძელით გავგებხვნევიან ისინი“ – აღნიშნა ანსამბლ „ინანას“ ხელმძღვანელმა **მარინა კოლხიდაშვილმა**.

**გიორგი ვარდანა**: „ბედნიერი ვარ დღეს, რადგანაც ჩემი სიმღერით შევძელი გამეხარებინა ის ადამიანები, რომლებიც თავს მარტოსულად და უსარგებლოდ თვლიან. მინდა, მათი ხშირი სტუმარი ვიყო.“

თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში მცხოვრებმა, აფხაზეთიდან დევნილმა ქალბატონმა **დოლო თელიამ** აღნიშნა, რომ ასეთი სახის ღონისძიება პირველია მისი დევნილობის პერიოდში და კონცერტის მონაწილეებს სთხოვა, თავიანთი ხშირი სტუმრობით კვლავაც აჩუქონ დიდი სიხარული და მხიარული განწყობილება მზრუნველობას მოკლებულ ადამიანებს.

„გამარჯობა, აფხაზეთო შენი“ – გალაკტიონის სიმღერად ქვეული ლექსით დაიწყო გამოსვლა ცნობილმა ჟურნალისტმა **შალვა ცაჭაპურიძემ**, რომელიც ამჟამად თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის ერთიანი ოჯახის წევრია. ბატონმა შალვამ, ახლო მომავალში, აფხაზეთში შეხვედრის იმედი გამოთქვა.

პროექტის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს საახალწლო სურვილების კალენდარს, რომელიც სამახსოვროდ დაუტოვეს მასპინძლებს. გადაიღეს სურათები მოხუცებთან და მათ კომპანია „ტკბილი ქვეყნისა“ და „ბარამბოს“ ტკბილეული, წიგნები და სხვა საჩუქრები გადასცეს.

ღონისძიების დასრულების შემდეგ, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა, ქალბატონმა **დალი ხომერიკმა** მოინახულა ხანდაზმულთა პანსიონატში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი ქალბატონები – **ქეთევან ჯოჯუა** და ცნობილი ხელოვანის, მიხეილ ჩუბინიძის მეუღლე, **ნელი ვაიამაკი**, რომლებიც ავადმყოფობის გამო წლების მანძილზე ლოგინად არიან ჩავარდნილნი და დახმარება აღუთქვა მათ.

მსგავსი საქველმოქმედო პროექტები შემდგომშიც განხორციელდება, რაც ხელს შეუწყობს თაობების ურთიერთდაახლოებასა და ჩვენი ახალგაზრდობის სრულყოფილ განვითარებას.





# თბილისში ტურიზმის აკადემია დაარსდა



ამ ცოტა ხნის წინ უჩვეულო ხალხმრავლობა იყო დედაქალაქში, კოსტავას ქუჩის 47 ნომერში მდებარე შენობის სხდომათა დარბაზში, სადაც ოფიციალურად ხდებოდა სა-

ზოგადოების წინაშე ახალი სპეციალური სასწავლებლის – **თბილისის ტურიზმის აკადემიის** წარდგინება-პრეზენტაცია. აკადემიის პრეზენტაციისადმი მიძღვნილი შეხვედრა-

სალამო გახსნა მისმა დამფუძნებელმა და დირექტორმა, პროფესორმა **ამირან მექვაბიშვილმა**. მან შეკრებილთ აუწყა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით, თბილისში დაარსდა ტურიზმის აკადემია, რომელსაც მიენიჭა ამ დარგში ერთ-ერთი პირველი სასწავლებლის უფლებამოსილება, ავტორიზაცია (სწავლის ხანგრძლივობა ერთიდან ოთხ წლამდე. ჩარიცხვა გასაუბრებით. გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი). უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს ოფიციალური გადაწყვეტილება, ტურიზმის აკადემიისთვის ავტორიზაციის მინიჭების შესახებ, წარმოადგინა ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა **კონსტანტინე ჩოკორაიამ**.

აკადემიის პროგრამირებასა და მომავალი კადრების აღზრდა-დასაქმების პერსპექტივებზე ისაუბრეს პროფესორ-მასწავლებლებმა: **ნიკო კვარაცხელიამ**, **ქეთევან სესიაშვილმა**, **ელიზა ოზბეთელაშვილმა**, **ზვიად არძენაძემ** და სხვ. საღამოზე მასპინძლებს ტურიზ-

მის აკადემიის დაბადება მიულოცეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ტურიზმის დეპარტამენტისა და ტურიზმის სააგენტოების ხელმძღვანელმა მუშაკებმა: **გიორგი ცხვედიანმა**, **ბექა ჯაყელმა**, **ნატალია ბახტაძემ**, **ნატალია კვაჭანტირაძემ**.

თბილისის ტურიზმის აკადემიის პრეზენტაციისადმი მიძღვნილი შეხვედრა-სალამო შეაჯამა ახალი სასწავლებლის თანადამფუძნებელმა, პროფესორმა **ნუგზარ წერეთელმა**. მან აღნიშნა, რომ ტურიზმის აკადემიას ახლავს შეუძლია მიიღოს აბიტურიენტთა საბუთები და სწავლას შეუდგეს უკვე 2012 წლის 20 თებერვლიდან. შეხვედრის შემდეგ გაიმართა კონცერტი.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს, მეგობრებო, ჩვენს დედაქალაქში დროის კარნახით დაბადებული ახალი პროფესიონალური სასწავლებელი – ტურიზმის აკადემია! დაე, წარმატებული ყოფილიყოს მისი მუშაობა, მისი მომავალი!

**ხათიაშვილი**

პროფესორი,

ექვთიმე თაყაიშვილის პრემიის ლაურეატი

# ოჯახი ქვეყნის გზაჯვარედინი

ოჯახური ურთიერთობა ჭადრაკს მოგვაგონებს. ერთი უხეირო სვლა და შეიძლება პაიკი კი არა, მეფეც დაკარგო, გზა დაგებნეს ურთიერთობის ლაბირინთებში. ურთიერთობის „ანი“ და „ბანი“ კი არსად გვისწავლია. არადა, „აღზრდა ეს არის ურთიერთობა, პირდაპირი თუ ირიბი, უშუალო თუ შუალლობითი, შეცნობილი თუ შეუცნობელი, თანასწორუფლებიანი თუ უთანასწორო, შეთანხმებული თუ კონფლიქტური... მრავალგვარია ის სიტუაციები, რომელშიც ურთიერთგეგვარებას ახდენენ ოჯახის წევრები, მშობლები და შვილები, სიტუაციები, სადაც მოქმედებს სისტემა – **აღმინანი – აღმინანი**“ (ი. კოლომინსკი).

როგორ მივალნიო შეთანხმებას, რელაქსაციას, ამ მთავარ ფასეულობას? ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენზე, მშობლებზეა დამოკიდებული. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად 72-ე სკოლაში როგორც მშობლებს, ისე უფროსკლასელებს ინგლისელი მეცნიერის დონალდ ტენესის ტესტები შევთავაზეთ (ასეთი ტესტები ორასამდეა). ტესტები ჩვენ მიერ იყო მოდიფიცირებული და ზნეობრივი ამოცანის სახით დავსვით. მათი გადაწყვეტა მათემატიკური ამოცანის ამოსწავლა ნაკლებად რთული როდი აღმოჩნდა. გთავაზობთ ამოცანის რამდენიმე ნიმუშს:

1. ერთხელ, შელაპარაკების დროს, შვილს სილა გაანანიო. როგორ მოიქცევით შემდეგ?
2. ოჯახში დაგეგმვით წერილი ფული. იცით, რომ თქვენმა შვილმა მოიპარა. რას იზამთ?
3. თქვენი პატარა შვილი ეზოდან ამოვიდა ხალათქვეშაში და მუხლგადაყვლეფილი. რას იზამთ?
4. შვილმა სწავლას ძალიან მოუკლო, გულჩათხრობილი გახდა. ზოგჯერ უხეშობს კიდევ. იცით, რომ ამის მიზეზი პირველი სიყვარულია. როგორ მოიქცევით?
  - შვილებსა და მშობლებს შორის ურთიერთობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს შეგონება, ავტორიტეტული სტილი. ასეთ შემთხვევაში მშობლის ვარაუდი ასეთია:
    - „მე გამოცდილება მაქვს, შენთვის კარგი მინდა, რა მოხდა თუ სილა გაგანანი, გაიზრდები და დაგავინყვდება“.
    - „გაგა დრო და ბავშვს გული მოუბრუნდება. მე მირჩევნია შვილმა შემიძლოს, ვიდრე ასცდეს სწორ გზას“.
    - „თუ ჩემი სილა სამართლიანია და შვილი ღირსია, მეორის გარტყმაზეც არ ვიტყვი უარს, ვაგრძობინებდი, რომ ეს სილა დამსახურებულად მიიღო“.
    - „რამდენიმე დღე ხმას არ გავცემ, შემდეგ ავუხსნი, გავაგებინებ და დავარწმუნებ, თუ რატომ მიიღო სილა“.
    - „სილის გარტყმის შემდეგ რამდენიმე დღე არაფერს შევიძინებ, ურთიერთობა უფრო მშვიდი მექნება და ისეთ კონტაქტს დავამყარებ, მეც შემრცხვეს და მასაც“.

■ „თუ გაგანანი, ალბათ ღირსიც იქნება, ბავშვმა უნდა იგრძნოს დანაშაული. არავითარ შემთხვევაში მას არ მივეფერები, სანამ არ იგრძნობს დანაშაულს“.

კონფლიქტიდან საჭირო დასკვნების გამოტანისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ გვარდება ეს კონფლიქტი (მშობელთა კლუბის სხდომას ესწრებოდა 90-მდე მშობელი). მშობელთა 39%-ის აზრით, უსიამოვნების შემდეგ მათ არავითარი გადაწყვეტილება არ გამოაქვთ. საკითხავია, რა განწყობა უფლებებით სილის გარტყმისა და უსიამოვნების შემდეგ შვილებს. ამ მიზნით, მათ გავაცანით უფროსკლასელთა შეხედულებები. ნაწერებში ხაზი გავუსვით შემდეგ ადგილებს:

- „მთელი სიცოცხლე გულში დამრჩება“.
  - „შემეჯავრება დედა და მამაც, თუ გამარტყამენ“.
  - „სახლიდან წავალ ცოტა ხნით“.
  - „მეორე ოთახში გავალ“.
  - „შვილმაც რომ გაგარტყას?“
- მოსწავლეთა 17%-ის აზრით, ისინი თვითონ ეძებენ მშობლებთან შერიგების გზას, უფროსკლასელთა მხოლოდ 6%-მა აღნიშნა, რომ მათი მშობლები კონფლიქტის მიზეზებს უღრმავდებიან და იმასაც აღიარებენ, რომ დამნაშავენი არიან.

როცა კონფლიქტის გადაჭრის ხერხებზე ვსაუბრობდით, დაისვა კითხვა: ბოდიში მოვუხადოთ, მაგრამ როგორ? ერთ-ერთმა მოსწავლემ მოითხოვა, რომ სილის გარტყმის შემდეგ მშობელმა შვილს ბოდიში მაშინვე უნდა მოუხადოსო. ამ მოსწავლის აზრს თითქმის ყველა უფროსკლასელი დაეთანხმა. ასეთ მოთხოვნაში შელახული თავმოყვარეობის აღდგენის ძლიერი სურვილი დავინახეთ, რაზეც ერთხელ კიდევ მიგვანიშნეს მათმა შეხედულებებმა:

- „სილა გავარტყი, ე.ი. მოთმინება არ მეყო. განა შვილი მაშინ უფრო არ დამაფასებს, თუ ჩემი შეცდომა ვალიარე?“
- „სილის განაზა ჩვენი უსუსურობის შედეგია, ამიტომ უნდა გვეყოს გამბედაობა, საკუთარი შეცდომა ვალიაროთ და ბოდიში მოვიხადოთ“.
- „მე მგონი, მშობლისგან ბოდიშის მოხდა შვილის თავმოყვარეობას მალამოდ დაედება“.

უფროსკლასელთა ნამუშევრების ანალიზი შემდეგზე მიგვანიშნებს: ისევ ვადანაშაულებთ შვილებს, სილის გარტყმამდეც მივდივართ და არ ვარკვევთ რაშია საქმე, რადგან სილის გარტყმა უფრო ადვილია, ვიდრე საქმეში გარკვევა. კონფლიქტის მიზეზების, ქცევის მოტივების დაუდგენლობა, კონფლიქტების მივიწყება კონფლიქტების გამეორების ნიადაგს ქმნის, ხოლო როცა კონფლიქტები მეორდება, უფროსკლასელში ყალიბდება მზაობა, ყოველთვის საკუთარი შეხედულება დაიცვას, ყოველთვის თავისი გაიტანოს.

მეორე ამოცანასთან დაკავშირებით მშობელთა, დაახლოებით, 50% იმით ხელმძღვანელობს, რომ „ნემსისა და აქლემის ქურდი ერთია“. ცდილობს, გაარკვიოს რისთვის

სჭირდებოდა ეს ფული და შვილის დასჯის მომხრეა.

ასეთი ჩანაწერებიც გააკეთეს მშობლებმა:

- „შევიწყებ, რომ წერილი ფული დამეკარგა, ეჭვი ჩემს მეექვსეკლასელ ბიჭზე მაქვს. მე მას დავპატიჟებ ნაყინზე, გავასეირნებ და როცა უკვე ნაყინის ყიდვაზე მიდგება საქმე, ვეტყვი, რომ სწორედ ის ფული მაკლდება ნაყინის საყიდლად, ძალიან შევწუხდები და უკან ნამოვიყვან“.
- „არ გავამჟღავნებ ეჭვს. ჩემი შვილი თუ მიეჩნია ქურდის სახელს, მეორედ უფრო გაუადვილდება ქურდობა, ზოგადად ვიტყვი, რომ დაიკარგა ფული. ჩვენი ოჯახი ისე ცხოვრობს, რომ ასეთი დანაკლისი შესაძლებელია“.
- „ჩამოგწერ რას ვაფასებ ჩემს შვილში. როცა მარტო ვიქნებით სახლში, მივეფერები და ვეტყვი, რომ ძალიან მიყვარს, პატივს ვცემ ამ თვისებების გამო. იქვე შევაპარებ, რომ ფული დაიკარგა. ასე მგონია, მასში სინდისის გავაღვიძებ“.

მესამე ამოცანასთან დაკავშირებით, მაშინვე მუხლის გადაყვლეფისა და ხალათის შემოგლეფის მიზეზებს ეძებენ მშობელთა 36%. ისინი არ ითვალისწინებენ, რომ პატარა აფორიაქებულია, იქნებ სტიკია კიდევ. ხომ არ ჯობია, მუხლი დაუთვალეროთ, ხალათი გამოუცვლოთ, მიეფეროთ, ამასობაში პატარა დაწყნარდება კიდევ და თუ დავაცლით, იქნებ მიზეზიც გვითხრას.

- „შვილს ვკითხავ, რაში იყო საქმე. თუ დასასჯელია, ორი დღე ეზოში არ ჩავუშვებ სათამაშოდ“.
- „წავალ ეზოში და გავარკვევ, რა იყო მიზეზი“.
- „თუ შენიშვნის მიცემას დავაპირებ, ბავშვის სიმალეზე დავიხრები ან გვერდით მივუჯდები. ის ჩემი სახის გამომეტყველებით მიხვდება, რისი თქმა მინდა. საყვედურებით არ ავავსებ. შემდეგ კი, როცა კარგ ხასიათზე იქნება, მიზეზსაც ვკითხავ“.
- „არ გამოვავლენ შემფოთებას, ბავშვი ხომ ისედაც დათრგუნულია როგორც ფიზიკურად, ისე ემოციურად. შევეცდები, თვითონ გაიხადოს ხალათი, მომიტანოს სპორტი, ასე, ვფიქრობ, უფრო დაწყნარდება“.

მეოთხე ამოცანის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, მშობლებისა და უფროსკლასელების აზრი მკვეთრად დასცილდა ერთმანეთს:

- „შვილს ვეტყვი, რომ ნაადრევია სიყვარული. ახლა სწავლაა აუცილებელი. კეკლუცობა და შეყვარებულზე ფიქრი ხელს შეგიშლის სწავლაში“.
- „მეშინია შვილის სიყვარულის, – ვინ არის, ვისი შვილია? თუმცა, არც ის მინდა, შვილის საქმეში ჩავერიო“.

მშობელთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს მიაჩნია, რომ ამ დროს შვილს უნდა დაეხმაროს:

- „მის გრძობას ანგარიშს გავუწევ, დროს შევუჩერებ და ჩემს პირველ სიყვარულზე მოვუყვები“.
- „დავხმარებ მდგომარეობიდან გამოსვლაში, შევეცდები, ვიშოვო რაიმე წიგნი პირველ სიყვარულზე, სქესობრივ აღზრდაზე და

ამ წიგნს მის მაგიდაზე დავებ. მაგრამ ვნახავ კი ასეთ წიგნს?“.

უფროსკლასელთა 41%-მა (სულ 105 მოსწავლე) ერთი ნახვით სიყვარული შესაძლებლად ჩათვალა, 29%-მა სიყვარული ბედს დაუკავშირა, მხოლოდ 17%-მა წარმოადგინა სიყვარული ზნეობრივ-სოციალური მომენტებით.

- „სიყვარული მშობლის მოთხოვნასა და ბრძანებას არ ემორჩილება“ (ბიჭი).
- „ჩემი აზრით, სიყვარული ერთი ნახვით შეიძლება. სიყვარული თითქოს ჯადოქარია. რატომ ხდება ასე – შეხედავ ბიჭს და თითქოს გული საგულედან დაიძრა, გული გეუბნება, ის ბიჭი კარგიაო და შენც მიჰყვები გულის ძახილს. ვფიქრობ, სიყვარულში მთავარი სწორედ გულის ძახლია“ (გოგონა).
- „ერთი ნახვით ნამდვილი სიყვარული არ შეიძლება. ერთი ნახვით სიყვარულს მე „ვიტომ სიყვარულს“ დავარქმევდი. მაგრამ რატომ ხდება ასე, რატომ შორდებიან შეყვარებულები? ამ გრძობაში გარკვევა მიჭირს. თუ არ გამოცდი, ვერც ახსნი“ (ბიჭი).

■ „ნამდვილი სიყვარული ალბათ ნიჭია და ის რჩეულია ხვედრია. სიყვარული ნაზი, წმინდა, ამაღლებული და სათუთია. ბედნიერი ვიქნები, თუ დავრწმუნდები, რომ მაქვს ეს ნიჭი, ნიჭი იმისა, რომ მას აღმერთებდე, მისი სიხარულით ხარობდე, მისი ტკივილი გტკიოდეს“ (გოგონა).

- „ამბობენ, რომ მონონება სხვაა, სიყვარული – სხვა. მე არ მჯეროდა, სანამ საკუთარ თავზე არ გამოვცადე. დაბადების დღეზე ერთი ბიჭი გავიცანი, მომეწონა, სულ მასთან მიხდოდა ყოფნა. ვერაფერს გულს ვერ ვუდებდი. გავიდა დრო და გაირკვა, რომ მე მასში მხოლოდ სილაზე დავინახე – გაჭირვების დროს ზურგი შემაქცია, შემდეგ ისევ გამოჩნდა. მეგობარი მეუბნება, შენ არ გყვარებია, თორემ აპატიებდიო. სიყვარულში სპატიებლად არ უნდა გახდეს საქმე. ახლანდელი სიყვარული სანთელია, შეუბერავ თუ არა, ჩაქრება“ (გოგონა).
- „ჩაფიქრებულს რომ გკითხავენ – რაზე ფიქრობდიო, დაბნეული უპასუხებ – არაფერზეო! იქნებ სწორედ ეს „არაფერია“ სიყვარული?“ (ბიჭი).

აღზრდაში არ არსებობს შვილის პრობლემა, არსებობს მშობლის პრობლემა. მშობელთა კლუბში მშობლებისა და უფროსკლასელების შეხვედრაზე ხმაურობდნენ არა მარტო უფროსკლასელები, არამედ მშობლებიც. ეს ხმაური იმპროვიზებულ დისპუტს მოჰყვა, რომლის შემდეგაც სწორ პოზიციამდე მივალთ.

უფროსკლასელთა და მათი მშობლების სურვილმა და ინტერესმა, ეპოვათ ჯანსაღი ოჯახური ურთიერთობების გზები, დაგვანერინა ეს წერილი.

**ნათელა ნატროშვილი**

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

**ლუიზა ირემაშვილი**

ი. გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი



### ქართველი მწერლები


- ❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომიანი), I-IV ტომი, - 11 ლარი
- ❖ ალექსანდრე ყაზვბეგი (2-ტომიანი), I-II ტომი, - 11 ლარი
- ❖ მინაილ ჯავახიშვილი (7-ტომიანი), I-VII ტომი - 11 ლარი
- ❖ ლევან გომთუა (7-ტომიანი), I-II ტომი - 16 ლარი
- ❖ ელიშვილ ყიფიანი (2-ტომიანი), I-II ტომი - 15 ლარი
- ❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომიანი), I, II, III, VI, VII, VIII ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
- ❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომიანი), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ ვახტანგ ჭაღლიძე (9-ტომიანი), I-IV ტომი - 12 ლარი
- ❖ ბრიგოლ აბაშიძე (6-ტომიანი), I-II ტომი - 12 ლარი
- ❖ ოტიან იოსელიანი (10-ტომიანი), I-IX ტომი - 12 ლარი
- ❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომიანი), I-VI ტომი - 10 ლარი
- ❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომიანი), I-IV ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

### გამოცემლობა „ეიოგანა“ და გაზეთ „ახალი განათლება“ სპეციალური პროექტი

სელმომწერთა საყურადღებოდ!  
თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით, შეგიძლიათ ისარგებლოთ „დიოგენეს“ შემოთავაზებით და გააფორმოთ სელმომწერა.

#### გამოინერეთ წიგნები და მიიღეთ სპეციალური ფასად



საყმანელო ენციკლოპედია „მუსიკა“

~~29.90~~

17 ლარი



საყმანელო ენციკლოპედია „სპორტი“

~~29.90~~

10 ლარი

### პირველად საქართველოში!

მოსწავლეებისა და პედაგოგების სამაგიდო წიგნი თამარ ბეროზაშვილი „ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

~~14.90~~

10 ლარი



## „ახალი განათლება“ წიგნის თანად

### მიმდინარეობს სელმომწერა

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური სელმომწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონზე:

295 80 23; 8790 95 80 23; 577 13 22 83.

სელმომწერის თანხა გადმორიცხვით რეკვიზიტებზე:

მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735  
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22, ა/ა GE93LB0113314052305000


### უპროპორციულად!



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია ~~45~~ 35 ლარი  
საბავშვო ენციკლოპედია ~~30~~ 26 ლარი  
სელმომწერის ილუსტრირებული ისტორია ~~40~~ 30 ლარი

### „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

ერთი ტომი - 12 ლარი



- გუსტავ ფლობერი - მადამ ბოვარი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ქალთა გადნიერება
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - მონტესუმას ასული
- სტენდალი - ნითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - სამი მიგობარი
- შოდერლო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტეფან ცვაიგი - მოუთმენლობა გულისა
- მაინ რიდი - კვარტარონი

### „რა არის რა“ ერთი ტომი - 11 ლარი



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტაბატაშვილის №3 ტელ.: 295 80 23, 8790 958023, 577 132283.  
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი სელმომწერისთვის: 76096

გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის რეკვიზიტები:

საქართველოს ბანკი

ბ/კ BAGAGE22,

ს/კ 202058735,

ა/ა GE 86 BG 000000 123631000 GEL